ძალადობის პრევენცია და სამართლებრივი მექანიზმები

ტრენერთა სახელმძღვანელო

HumanDoc

Region in Transition

ავტორი
მანანა ჯინჭარაძე

ტრენინგ - კურსი
ძალადობის პრევენცია და სამართლებრივი მექანიზმები

პროგრამა ხორციელდება ორგანიზაცია
Fundacja HumanDoc // Foundation HumanDoc-ის
(პოლონეთი) მიერ

საქართველო 2020

ტრენინგი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ „RITA-რეგიონი გარდამავალ პერიოდში“ პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი „განათლება დემოკრატიისთვის“

© გამოცემა **„ძალადობის პრევენცია და სამართლებრივი მექანიზმები“** ხელმისაწვდომია Creative Commons Attribution 4.0 საერთაშორისო საავტორო ლიცენზიით. პუბლიკაცია შეიქმნა პროექტის „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში საპილოტე სატრენინგო პროგრამა პედაგოგებისთვის მოსწავლეების და მშობლების განათლება ოჯახში ძალადობის პრევენციასთან დაკავშირებით“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის“ მიერ, RITA - რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის“ მიერ, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის“. აღნიშნულიდან გამომდინარე, პუბლიკაციის გამოყენება იქნება ნებადართული მხოლოდ იმ პირობით, თუ ზემოხსენებული ინფორმაცია, მათ შორის, გამოყენებული ლიცენზიის და საავტორო უფლებების შესახებ იქნება გამოქვეყნებული.

© ფონდი ჰუმანდოკი-ს (Fundation HumanDoc) 2020

www.HumanDoc.pl
www.HumanDoc.ge

სარჩევი

პროგრამის მიმოხილვა ---------- 4

დღე I ---------- 11

დღე II ---------- 20

დანართი 1 - აქტივობა 1.3
ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: თავი II - სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები ---------- 30

დანართი 2 - აქტივობა 1.4
რამდენიმე სტრატეგია ბავშვის დასახმარებლად ---------- 34

დანართი 3 - აქტივობა 1.5
ერთი მარცვალი მზესუმზირასავით ---------- 38

დანართი 4 - აქტივობა 2.2
უცნობი ბიჭის წერილი ---------- 43

დანართი 5 - აქტივობა 2.4
საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ (მუხლები 4; 17; 19; 20) ---------- 47

პროგრამის მიმოხილვა

ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის დასახელება: ძალადობა, მსხვერპლის/მოძალადის ამოცნობა, პრევენცია, რეაგირება და სამართლებრივი მექანიზმები

ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ პროგრამის განმახორციელებელი ერთეული: Fundacja HumanDoc // Foundation HumanDoc (პოლონეთი)

პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი/ჯგუფები: სკოლის მასწავლებლები, ადმინისტრაციის წარმომადგენლები, კლასის დამრიგებლები, უფროსი კლასის მოსწავლეები, მშობლები.

ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მსმენელთა დასაშვები რაოდენობა: 9-20 მონაწილე (რეგიონული პრინციპის გათვალისწინებით, დასაშვებია მსმენელთა ნაკლები ან მეტი რაოდენობა).

ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის ხანგრძლივობა და დროში განაწილება: 16 სთ; ორდღიანი პროგრამა;

ტრენინგ-მოდულის/ტრენინგ-პროგრამის მოცულობა საათების (საკონტაქტო და არასაკონტაქტო) რაოდენობის მიხედვით: პროგრამის საერთო მოცულობაა 16 საკონტაქტო საათი (2 სატრენინგო დღე).

ადამიანური რესურსი: შრომითი ხელშეკრულებით აყვანილი პირი/პირები (ტრენერი/ტრენერები), ტრენინგი ტარდება ტრენერთა სამეულის მიერ (სასურველია სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებისაგან დაკომპლექტება)

მატერიალური და ტექნიკური კონკრეტული სასწავლო რესურსი: პროექტორი და კომპიუტერი, ფლიპჩარტი, თაბახის ფურცლები, მარკერები, სამუშაო რვეულები, პასტები, წებოვანი, ფერადი სტიკერები, მოდული, მონაწილის სამუშაო რვეული

რეგიონული დაფარვა: საქართველო

სერტიფიკატის გაცემის წესი და პირობები: სერთიფიკატის მისაღებად, სავალდებულოა მონაწილე ესწრებოდეს ტრენინგისთვის განკუთვნილი 16 საათიდან 14 საკონტაქტო საათს.

სე-სია	დღე 1	რესურსები
1.1	აქტივობა: ტრენინგის მექანიკის წარდგენა მიზნები: მონაწილეთა, პროგრამის თემატიკის, მიზნებისა და ამოცანების გაცნობა ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს აცნობს საკუთარ თავს, ესაუბრება მის მიღწევებზე. მონაწილეებს სთავაზობს გაცნობის ახალ ფორმას. კერძოდ, საკუთარი თავი წარმოადგინონ ნახატებით. ამისთვის კი ფურცელი უნდა დაიდონ თავზე და პასტით დაიწყონ ხატვა იმ ინსტრუქციის მიხედვით, რომელსაც ტრენერი სთავაზობს მათ: დახატეთ თავი, თვალები, ცხვირი, პირი და შესრულებული ნამუშევარი საკუთარი სახელ-გვარის წარწერით გამოაკრით მინიშნებულ ადგილზე. რეკომენდაცია ტრენერს: სავარაუდოდ, შესრულებულ პორტრეტში, ცხვირი, თვალები და პირი აცდენილია თავს. ტრენერი ხატვის დასრულების შემდეგ მინიშნებას აკეთებს, თუ როგორ შეიძლება თითოეული ჩვენგანი აცდენილი იყოს სწორ ხედვას, თუ პრობლემას ვერ ხედავს და სიღრმისეულად არ იაზრებს მას. ამ მინიშნებას აკავშირებს ტრენინგის თემასთან.	კომპიუტერი პროექტორი, მარკერი, ფლიპჩარტი 45 წთ
1.2	აქტივობა: მოლოდინები მიზნები: ტრენინგის მონაწილეთა მოლოდინების გაცნობა ნაბიჯი 1: ტრენინგის მონაწილეების მოლოდინების გამოკითხვა. ტრენინგის მონაწილეები ფერად სტიკერებზე წერენ თავიანთ მოლოდინებს და აკრავენ ამისთვის გამოყოფილ ადგილზე. რეკომენდაცია ტრენერს: ტრენერი, მონაწილეების მოლოდინებს მიუბრუნდება ტრენინგის ბოლოს, როცა თითოეულ მათგანს წაიკითხავს და ჯგუფთან ერთად გამოარკვევს უპასუხა თუ არა ტრენინგმა მონაწილის მოლოდინს.	კომპიუტერი, პროექტორი 15 წთ
1.3	აქტივობა: მონაწილეთა დინამიკა მიზნები: მონაწილეთა ცოდნის გააქტიურება ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს უსვამს კითხვას: 1. დაასახელეთ სამი მთავარი ღირებულება, რომელსაც პედაგოგი უნდა ფლობდეს. 2. გთხოვთ, გაიხსენოთ ერთერთ ღირებულებასთან დაკავშირებული გამოცდილება/მიღწევა და გავუზიაროთ ის ჯგუფს. რეკომენდაცია ტრენერს: ტრენერი მონაწილეთა მიერ ჩამოთვლილ ღირებულებებიდან ერთ მათგანზე აკეთებს აქცენტს და მონაწილეთა ცოდნას ამ ღირებულებასთან დაკავშირებით ააქტიურებს. მაგ. თუ მონაწილე იტყვის, რომ მისი ყველაზე დიდი ღირებულება ბავშვების სიყვარულია, უნდა გაიხსენოს გამოცდილება, როცა ამ სიყვარულით შედეგებზე გავიდა და სწავლის პროცესი მოტივირებული გახადა.	პროექტორი, კომპიუტერი 40 წთ

1.4	აქტივობა: პრაქტიკული მაგალითები მიზნები: ძალადობის ფორმების გაცნობიერება პრაქტიკული მაგალითების საფუძველზე ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს 4 ჯგუფად და ურიგებს სამუშაო ფურცლებს (სამუშაო ფურცელი 1). ქეისებში ძალადობის ფორმების მაგალითებია მოყვანილი, რომლის ამოცნობაც ჯგუფებმა არგუმენტირებულად უნდა შეძლონ. ნაბიჯი 2: ჯგუფების პრეზენტაცია ნაბიჯი 3: ტრენერი ჯგუფების პრეზენტაციის შემდეგ მოკლე შეჯამებას აკეთებს ძალადობის ფორმებისა და სტატისტიკის შესახებ. თხრობისას ის ეხება არა მარტო ქეისში მოცემულ ფორმებს, არამედ ყველა მათგანს და მიმოიხილავს თითოეულს სამართლებრივ ჭრილში.	პროექტორი, კომპიუტერი, მარკერი, თაბახის ფურცლები, ფლიფჩარტი 40 წთ
1.5	აქტივობა: „ერთი მარცვალი მზესუმზირასავით“ მიზნები: მონაწილეები აანალიზებენ ოჯახში ძალადობის შემთხვევას, ულრმავდებიან წარმოშობის მიზეზებს და თეორიულ გამოცდილებას უკავშირებენ საკუთარი სწავლების პრაქტიკას ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს სთავაზობს ჯგუფებში წაიკითხონ მაია სარიშვილის მოთხრობა „ერთი მარცვალი მზესუმზირასავით“ გააანალიზონ იგი და უპასუხონ დავალებაში მოცემულ კითხვებს: 1. რა დამოკიდებულებები აქვს მოზარდს მშობლებისადმი? 2. როგორი ადამიანები იზრდებიან ასეთ ოჯახებში? 3. აქტუალურია თუ არა დღეს, ეს თემა საქართველოსათვის? ნაბიჯი 2: ჯგუფების პრეზენტაცია ნაბიჯი 3: ტრენერი აჯამებს დავალებას და მონაწილეებს აცნობს ოჯახში ძალადობის ბორბალს. ნაბიჯი 4: ტრენერი დისკუსიას მართავს მთელ ჯგუფთან და საკითხის უკეთ გააზრების მიზნით თემატიკას მონაწილეთა გამოცდილებას უკავშირებს: 1. თქვენი აზრით რა შეიძლება იყოს ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები? 2. შეძლებთ თუ არა მსხვერპლის ამოცნობას თქვენს მოსწავლეებს (ნაცნობებს) შორის და როგორ? 3. რა გაგიკეთებიათ მსხვერპლის დასახმარებლად? ნაბიჯი 5: დისკუსიის შემდეგ ტრენერი ტრენინგის თემატიკას უკავშირებს მასლოუს იერარქიულ თეორიას და განსაკუთრებით პირამიდის მესამე კლასტერზე აქცენტირებს, სადაც განთავსებულია მეგობრობა, თანამშრომლობა, სიყვარული და მიკუთვნებულობა.	კომპიუტერი, პროექტორი, მარკერი, თაბახის ფურცლები 1.45 სთ

1.6	აქტივობა: ფოტოსესია მიზნები: შეძლონ მოძალადის ამოცნობა და საკუთარი სტერეოტიპების გააზრება თემატიკის სხვადასხვა ასპექტთან მიმართებით ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს ჯგუფებად და აძლევს დავალებად ფოტოების გალერეას, რომელთაგან უნდა ამოიცნოს მოძალადის სახე. ჯგუფები მსჯელობენ და გამოფენენ გალერეაში მათ მიერ შერჩეულ სახეს. ნაბიჯი 2: პრეზენტაციის დროს ჯგუფები არგუმენტირებულად ახასიათებენ მათ შერჩეულ პიროვნებას გარეგნული ნიშნებით, სტილით, ჩაცმის კულტურით თუ სხვა. ნაბიჯი 3: ტრენერი მონაწილეებთან ერთად დისკურსირებს შემდეგი კითხვების მეშვეობით: 1. ვინ ძალადობს ბავშვზე? 2. რა შეუძლია მასწავლებელმა/საზოგადოებამ გააკეთოს ძალადობის აღმოსაფხვრელად? ნაბიჯი 4: ტრენერი აჯამებს მონაწილეთა შედეგებს და საუბრობს სტერეოტიპებსა და სტიგმაზე, რომელთაც სოციალური ინსტიტუციები და მათ შორის სკოლა, ოჯახი, ქუჩა და ა.შ. უწყობენ ხელს. აქვე აქცენტირებს იძულებით ქორწინებასა და რეფერირების სისტემაზე მათ შორის, სამართლებრივ ჭრილში. რეკომენდაცია ტრენერს: შერჩეულ ფოტოებს შორის რამდენიმე მათგანი არის ცივსისხლიანი მკვლელი და მოძალადე, თუმცა გარენული ნიშნები ამაზე არ მიუთითებენ. შესაბამისად ჯგუფების მიერ შერჩეული ფოტოები, არის ალბათობა, შეცდომით შეირჩეს და გამოიფინოს, რასაც პირდაპირ უკავშირდება ჩვენი სტერეოტიპები. ამაზე საზგასმა უნდა გააკეთოს ტრენერმა და მონაწილეებს მისცეს საშუალება გაიაზრონ საკუთარი სტერეოტიპები.	პროექტორი, კომპიუტერი; 1.40 სთ
1.7	აქტივობა: დღის შეჯამება მიზნები: გააცნობიერონ შესწავლილი საკითხები ნაბიჯი 1: მონაწილეებს მოხალისეობის პრინციპით სთხოვს შეაფასონ პირველი დღე.	15 წთ
	პირველ დღეს გათვალისწინებულია: ყავა/ჩაი - 1 სთ (2X30); სადილი - 1 სთ; სულ 2 სთ	

<table>
<tr><th>სე-
სია</th><th>დღე 2</th><th>რესურსები</th></tr>
<tr><td>2.1</td><td>აქტივობა: წინა დღის რეფლექსია
მიზნები: წინა დღეს შესწავლილი თემების შესახებ ცოდნის გააქტიურება
ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებთან ერთად იხსენებს წინა დღეს შესწავლილ თემატიკას და ცდილობს დაეხმაროს მათ ცოდნის გააზრებაში.
ტრენერის დამხმარე კითხვები:
1. როგორ გამოიყენებთ ამ თემებს სასწავლო პროცესის დაგეგმვისას?
2. თქვენი აზრით, რა სირთულეები შეიძლება შეგხვდეთ დაგეგმვისა და დანერგვის დროს?
ნაბიჯი 2: ტრენერი მონაწილეებს აცნობს მოსწავლეებში ყველაზე გავრცელებულ ძალადობის ფორმას კიბერბულინგს და ესაუბრება მის საფრთხეებზე, მისი განხორციელების საშუალებებსა და კიბერბულინგთან ბრძოლის მეთოდებზე.</td><td>პროექტორი, კომპიუტერი
45 წთ</td></tr>
<tr><td>2.2</td><td>აქტივობა: მოძალადე ჯგუფები
მიზნები: მოძალადეების სიღრმისეულად გაცნობიერება და მათი მახასიათებლების გააზრება
ნაბიჯი 1: ტრენერი ხმამაღლა კითხულობს სოციალურ ქსელში გავრცელებულ უცნობი ბიჭის წერილს და წერილის დასრულების შემდეგ იწყებს დისკუსიას კითხვით: თქვენი აზრით ვინ ძალადობს ბავშვზე?
დისკუსიის შემდეგ
ტრენერი მონაწილეებს ჰყოფს ჯგუფებად და სთხოვს ყველა ჯგუფმა ერთმანეთთან შიდა მოლაპარაკების გზით ჩამოწერონ რა ფორმით ძალადობენ შემდეგი ჯგუფები ბავშვზე?
<table><tr><th>საზოგადოება</th><th>სკოლა/ მასწავლებელი</th><th>ოჯახი</th></tr><tr><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td></tr><tr><td></td><td></td><td></td></tr></table>
ნაბიჯი 2: ჯგუფების პრეზენტაციები
ნაბიჯი 3: ტრენერის პრეზენტაცია უთანასწორობა სკოლაში და დავალების შეჯამება სადისკუსიო კითხვებით.</td><td>პროექტორი, კომპიუტერი,
45 წთ</td></tr>
</table>

2.3	აქტივობა: აღზრდის სისტემა და რეფერირების წესი მიზნები: გაიაზრებენ ძალადობის წინაპირობებს და შეძლებენ დეფინიცია გაუკეთონ სწორ, პოზიტიურ დამოკიდებულებებს ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს აცნობს ძალადობის საწყის ეტაპებს და ესაუბრება ერთი შეხედვით ჩვეულებრივ სასკოლო კონფლიქტებსა და მასწავლებლის დამოკიდებულებაზე კონფლიქტურ პიროვნებებთან. ტრენერის პრეზენტაცია. ნაბიჯი 2: ტრენერი მონაწილეებს ათამაშებს „ვვირაბს“. იგი ურიგებს როლებს: სკოლის დირექტორი, მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, დედა, მამა, ბაბუა, მამის გაუთხოვარი მამიდა, მეზობელი, კლასელი, კლასელის დედა, თავად კანონთან კონფლიქტში მყოფი მოსწავლე. თამაშის სპეციფიკა: როლში შესული მონაწილეები აკეთებენ კორიდორს, რომელშიც უნდა გაიაროს კანონთან კონფლიქტში მყოფმა მოსწავლემ. ყველა ჩამოთვლილი ადამიანი მას გამომდინარე რეალური სიტუაციიდან, თავის სათქმელს ეუბნება. თამაშის დასრულების შემდეგ მონაწილეები აანლიზებენ სიტუაციას და მსჯელობენ იმ მეთოდებზე, რომელიც ჩვენ მოძალადე და კანონთან კონფლიქტში მყოფ მოსწავლეებთან გვაქვს შერჩეული. ნაბიჯი 4: ტრენერი აჯამებს აქტივობას. პრეზენტაციაში საუბარია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის პროცედურებზე, რომელიც სკოლამ აქტიურად უნდა გამოიყენოს. რეკომენდაცია ტრენერს: არსებობს ალბათობა, რომ როლში შესულთაგან უმეტესობა უხეშად მოექცევა მოსწავლეს და მათი მიმართვები იქნება ან გაკიცხვის, ან არაფრის მომცემი დიდაქტიკით დატვირთული. ტრენერმა ამაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება და აღნიშნოს შეჯამებისას. ასევე კარგი იქნება აქცენტირება მოხდეს კანონთან კონფლიქტში მყოფი მოსწავლე გოგო არის თუ ბიჭი. სავარაუდოდ, თამაშში ჩართულები მიიჩნევენ, რომ ის ბიჭია; თუ არ აღნიშნეს ამის შესახებ, ტრენერს შეუძლია შეეკითხოს ანალიზის დროს.	პროექტორი, კომპიუტერი, 60 წთ
2.4	აქტივობა: კომუნიკაცია მიზნები: კომუნიკაციის მიზნების გაცნობა და გაცნობიერება ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს აცნობს კომუნიკაციის არსს და ფუნქციებს და სთხოვს: გთხოვთ, დაფიქრდეთ, რომელ ფუნქციას იყენებთ ინტენსიურად თქვენ საქმიანობაში? ნაბიჯი 2: ტრენერი აანალიზებს ტრანსფორმაციულ კომუნიკაციას და ხსნის როგორ ეხმარება ის ადამიანებს შინაგანი სამყაროს დანახვაში და დიდ დროს უთმობს არაძალადობრივი კომუნიკაციის არსის ახსნასა და ანალიზს, მისი დამკვიდრების სტრატეგიებს და ტექნიკას, მოდელის მიზნის გაცნობას. ნაბიჯი 3: კითხვებზე პასუხის გაცემა.	პროექტორი, კომპიუტერი; 40 წთ
2.5	აქტივობა: ნაბიჯი წინ მიზნები: საკუთარი როლის გააზრება პოზიტიური სასკოლო გარემოს შექმნაში ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს სთავაზობს როლურ თამაშს.	კომპიუტერი, პროექტორი 1.20 სთ

	თამაშის მონაწილეებს ის ურიგებს როლებს დაჭრილი ბარათებით და სთხოვს 2-3 წთ როლში შესასვლელად იფიქრონ. როლში შესასვლელად მას გამოაქვს დამხმარე კითხვები ეკრანზე. შემდეგ კი სთხოვს მონაწილეებს თამაშისთვის განთავსდნენენ ერთ მწკრივად, მოუსმინონ ტრენერის დებულებებს და ყოველი დებულების წაკითხვის შემდეგ მოახდინონ შესაბამისი რეაგირება: თუ ეთანხმებიან დებულებას, წინ წადგან ნაბიჯი, ხოლო, თუ არა ადგილზე დარჩნენ.	
2.6	აქტივობა: პოზიტიური სასკოლო გარემო მიზნები: პოზიტიური სასკოლო გარემოს არსის გააზრება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს შესაქმნელად ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეება ახსენებს პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლებს, მის მნიშვნელობას და აჩვენებს ფილმის ამონარიდებს. ნაბიჯი 2: ეს არის ფილმი ახალგაზრდა მასწავლებელზე, რომელიც სკოლაში პირველად შედის. ფილმის ამონარიდების ჩვენების შემდეგ მონაწილეები ერთვებიან დისკუსიაში ჩვენების ირგვლივ.	პროექტორი, კომპიუტერი, ვიდეომასალა ფილმიდან „თავისუფლების მწერლები“ 15 წთ
2.7	აქტივობა: 21-ე საუკუნის მასწავლებლის მახასიათებელი არაძალადობრივი სასკოლო გარემოს შესაქმნელად მიზნები: აჯამებენ შესწავლილ საკითხებს და ქმნიან რეკომენდაციების ბაზას კოლეგებისათვის ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს ახსენებს წინა საკითხებს და სთხოვს ჯგუფების მიხედვით შეიმუშაონ რეკომენდაციები კოლეგებისათვის პოზიტიური, არაძალადობრივი სასკოლო გაიმოს შესაქმნელად და გამოკვეთონ იმ მასწავლებლის სახე, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებს პასუხობს.	პროექტორი, კომპიუტერი, 15 წთ
2.8	აქტივობა: ტრენინგის შეჯამება მიზნები: ამთლიანებენ ტრენინგის ფარგლებში მიღებულ ცოდნას ნაბიჯი 1: ტრენერი მონაწილეებს აცნობს შეჯამების ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას „აკუმულაციური რუკა“. რუკის აგების პრინციპია სწავლების პროცესში დამახსოვრებული თემები, საკვანძო სიტყვები, ფრაზები, ლექსიკური ერთეულები, უცხო ტერმინები და ა.შ. ტრენერი სთხოვს მონაწილეებს უკარნახონ ფრაზები, სიტყვები, ტერმინები, რაც ახსოვთ. მონაწილეები კარნახობენ. ტრენერი „რუკაზე“ ანთავსებს მიწოდებულ ინფორმაციას. როცა კარნახი დასრულდება, სთხოვს მონაწილეებს ეს ტერმინები, საკვანძო სიტყვები და ფრაზები დააკავშირონ ერთმანეთს. ტრენერი ასახელებს ერთ ტერმინს და სთხოვს მონაწილეებს ახსნან რა კავშირშია ეს ტერმინი მეორე საკვანძო ფრაზასთან (ტრენერი ირჩევს ფრაზას და უთითებს მონაწილეს). მონაწილე ხსნის და ტრენერი უკვე მეორე სიტყვაზე/ფრაზაზე გადადის და ასე ბოლომდე... ნაბიჯი 2: ტრენერი მადლობას უხდის მონაწილეებს და უსურვებს წარმატებას საქმიანობაში.	ფლიპჩარტი, მარკერი 15 წთ
	მეორე დღეს გათვალისწინებულია: ყავა/ჩაი - 1 სთ (2X30); სადილი - 1 სთ; სულ 2 სთ	

დღე I.

აქტივობა 1.1

მონაწილეები ნახატით წარმოადგენენ თავს და აქცენტს აკეთებენ იმაზე, თუ როგორი ცდომილებით დახატეს საკუთარი პორტრეტი. ამას კი უკავშირებენ სწავლა-აღზრდის პროცესში დაშვებულ აცდენებს, რომელმაც შეიძლება, სულ სხვა კუთხით დაგვანახოს სიტუაცია.

აქტივობა 1.2

მოლოდინების გამორკვევა ხელს უწყობს ტრენერს/ტრენერებს შეაფასონ, დასაწყისში რამდენად საჭიროა მასალა, რომელსაც განიხილავენ ტრენინგზე და ბოლოს რამდენად შეძლეს მიზნის მიღწევა და მოლოდინების გამართლება.

აქტივობა 1.3

მესამე აქტივობა მონაწილეებს აფიქრებს იმ ღირებულებებზე, რომელიც მასწავლებელს უნდა ჰქონდეს. აქ ხაზგასმა კეთდება, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები შესაბამისობაში უნდა მოვიდეს სასწავლო პროცესთან და მთავარი ღირებულებებიც აუცილებლად ამ კონტექსტის გათვალისწინებით გამოიკვეთოს. ტრენერმა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები უნდა განიხილოს ცოდნის სამი კატეგორიიდან გამომდინარე და მიანიშნოს მონაწილეებს მესამე კატეგორიის ცოდნის გარდაუვალობა. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს მონაწილეთა ჩამონათვალსაც: დავალებიდან გამომდინარე, რომელ ღირებულებას ჩათვლიან უპირატესად. აქედან გამომდინარე აქცენტირება კეთდება სამოქალაქო განათლების კომპეტენციის

განვითარებაზე. ტრენერი ჩაინიშნავს დასახელებულ ღირებულებებს და შეჯამებისას იყენებს დანართის მასალას.

გამოსაყენებელი მასალა: ტრენინგის საპრეზენტაციო მასალა; დანართი 1 - ესგ-ს მუხლებიდან ამონარიდები; კომპეტენციები.

აქტივობა 14

მონაწილეებს ჯგუფში სამუშაოდ სიტუაცია 1; 2; 3; 4 ეძლევათ და ტრენერი სთხოვს გააანალიზონ იგი.

სიტუაცია 1

თეონა მესამე კლასის მოსწავლეა. გოგონას ბებია ზრდის. რამდენიმე დღის წინ ბებიამ დადგინა, რომ მისი შვილიშვილი მსხვერპლია. მას კლასელები დასცინიან, მასწავლებელი შეურაცხყოფას აყენებს და კლასელების მშობლები მასზე და მის ოჯახზე ჭორაობენ.

ბებია ამბობს, რომ რადგან თეონა მშობლებისგან მიტოვებულია იმიტომ უბედავენ ასეთ მოქმედებას, თორემ სხვა კლასელებს ვერაფერს ეუბნება ვერც მასწავლებელი და არც მშობლები ჭორაობენ.

ბებიას ერთმა მშობელმა ჩუმად გაუმხილა, რომ მშობლები კრებაზე, საჯაროდ, განხილავენ მისი შვილიშვილსა და მათი ოჯახის ამბებს, ამბობენ, რომ ასეთ ცუდ ოჯახში აღზრდილი გოგონა, თავადაც გზას ასცდება და ვერაფერი უშველის.

მშობლები აზრის გამოთქმას არც თავის შვილებთან ერიდებიან და ოჯახში განიხილავენ თეონას ოჯახის ამბებს. მშობლების დამოკიდებულება მოქმედებს შვილებზეც და პატარა გოგონას მუდმივ რეჟიმში უხდება თავის დაცვა, როგორც თანაკლასელებისაგან, ისე მათი უფროსი და-ძმებისგან, მშობლებისა და მასწავლებლებისგანაც კი.

ამ დამოკიდებულებებით დაღლილმა თეონამ ერთხელ თავის თანაკლასელს სილა გააწნა და თმებით ითრია. მეორე შემთხვევაში კი,

მასწავლებლის თანდასწრებით, შეურაცხყოფას ვეღარ გაუძლო და წიგნი ესროლა თავის თანაკლასელს. სკოლამ, მასწავლებლის რჩევით, თეონას ბებიას ბავშვის გადაყვანა მოსთხოვა სხვა სკოლაში. ბებიას ბავშვი არ გადაჰყავს სკოლიდან და ამბობს, რომ სხვებმა გადაიყვანონ თავიანთი შვილები, რადგან თეონა კი არა, მისი თანაკლასელები არიან დამნაშავეები.

ტრენერის დასახმარებლად: *ტიპური ბულინგის შემთხვევაა. მსხვერპლი გადადის აგრესიაზე და იკავებს მოძალადის ადგილს. ძალადობენ თანაკლასელები, მშობლები და მასწავლებელიც კი თავიანთი უმოქმედობითაც. თეონა რისკის ჯგუფის კატეგორიას განეკუთვნება და მასთან მასწავლებელს მართებს სპეციალური გეგმის შემუშავება. უნდა განისაზღვროს მისი სკოლაში მოსვლისა და სწავლის მოტივირების გზები, ასევე გამოკვეთოს თანაკლასელებთან ადაპტაციის, მისი საუკეთესო თვისებების დანახვის, კლასში ერთიანობის სტრატეგიები;*

სიტუაცია 2

საბა 8 წლის ბიჭია, რომელიც მესამე კლასში იმდენად გარიყული აღმოჩნდა, რომ მშობლებმა მისი სხვა სკოლაში გადაყვანის გადაწყვეტილება მიიღეს.

საბას კლასში არის ერთი ბიჭი, რომელიც გამუდმებით აყენებს სხვა მოსწავლეებს ფიზიკურ შეურაცხყოფას. საბა 2 წლის განმავლობაში იტანდა თანაკლასელებისაგან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას, რაზეც მასწავლებელი არაფერს ამბობდა და შესაბამისად არც რეაგირებას ახდენდა.

მესამე სასწავლო წლის დაწყების შემდეგ, საბამ თავის დაცვა დაიწყო. კერძოდ, აღარ ითმენდა შეურაცხყოფას, დაცინვას და ჰქონდა შესაბამისი რეაგირება.

მასწავლებელმა საბა ჩხუბისთავად მონათლა და ყოველთვის ამტყუნებდა მოსწავლეს, რომელიც თავს იცავდა.

პედაგოგი სხვა ბავშვების მშობლებთანაც ამბობდა, რომ უჭირდა საბას მართვა, რადგან ის კლასში გაკვეთილის ჩატარების საშუალებას აღარ აძლევდა. ამან გამოიწვია სხვა მშობლების განაწყენება, ერთ მუშტად შეკვრა და საბას დედასთან დაპირისპირება.

მშობლების დაპირისპირებას ადგილი ჰქონდა, როგორც სკოლის შენობაში, ისე ქუჩაში. პარალელურად, ბავშვებმა შეიძულეს თანაკლასელი. საბოლოოდ, საბა, მშობლებმა, სხვა სკოლაში გადაიყვანეს, რადგან მას მთელი სასკოლო საზოგადოება დაუპირისპირდა.

საბას დედა ამბობს, რომ სკოლაში პრობლემა ექმნება ყველას, ვინც თავს არავის აჩაგვრინებს. სკოლისთვის პრობლემას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ მათ სივრცეში არსებობენ მოძალადე და მსხვერპლი ბავშვები. პრობლემა მაშინ იქმნება, თუ ვინმემ თავის დაცვა გადაწყვიტა და მოძალადესთან კონფლიქტში ჩაება.

საბას, წასვლამდე „გიჟის“ იარლიყი მიაკერეს. დედა ეცადა სიმართლისთვის მიეღწია, მაგრამ ამაოდ. წერს განცხადებებს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში და ითხოვს დადგეს ყოფილი მასწავლებლის, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებმაც ბავშვი გარიყეს, თუმცა უკვე თვეებია საქმე წინ არ მიიწევს.

ტრენერის დასახმარებლად: *საბას მასწავლებელი უმოქმედობის გამო პირველ ეტაპზე და არასწორი ქმედების გამო შემდეგ, კიდევ უფრო ამძაფრებს პრობლემას ბავშვებში, მშობლებში, რაც იწვევს მათ დაპირისპირებას ერთმანეთთან. სკოლას არ აქვს ერთიანი გეგმა ბულინგის წინააღმდეგ შემუშავებული და არა მარტო არ აქვს, არც აცნობიერებს პრობლემას. სკოლა ერიდება მსხვერპლის დაცვას, და არ უპირისპირდება მოძალადეთა უმრავლესობას. სკოლამ უნდა დაიცვას საბას უფლებები და აარიდოს ბულინგს: შეიმუშაოს მოქ-*

მედების გეგმა მის სასარგებლოდ, მისი სიმართლის გამოსავლენად, ჩამოაშოროს მოძალადეთა ჯგუფი და უსაფრთხოდ სწავლის საშუალება მისცეს მოსწავლეს. აქვე უნდა გამოიკვეთოს სამინისტროს პასუხისმგებლობაც, რომელმაც უნდა მიმართოს სკოლას და მოსთხოვოს სტრატეგიის გეგმა ამ რთული სიტუაციიდან მოსწავლის ისე გამოსაყვანად, რომ არცერთი მხარე დაზარალდეს.

სიტუაცია 3

სალომე მე-8 კლასშია. ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი არაგონივრული ზომის საშინაო დავალებას ატანს ბავშვებს. მაგალითად 25 ზმნა გასარჩევად, პლუს ლიტერატურის შინაარსი და ანალიზი. მამა ამბობს, რომ:

„საშუალოდ 8-9 საათიანი სამუშაო მოაქვს ბავშვს, თავს ვერ ართმევს და ამდენი სამეცადინო იწვევს აგრესიას, ეძინება რვეულზე. სხვა საგნების მეცადინეობას ვეღარ ახერხებს.

ამას წინათ სალომეს მშობელი სკოლაში დაიბარეს. მამა წავიდა მასწავლებელთან შესახვედრად და ძალიან შეურაცხყოფილი დაბრუნდა უკან. დედასთან ჩიოდა, რომ მასწავლებლებს ვერაფერი გააგებინა. ისინი ჯიუტად ეთანხმებოდნენ ერთმანეთს დიდი მოცულობის საშინაო დავალების სარგებლიანობაზე და მშობელს ურჩევდნენ, რომ ბავშვს დახმარებოდა.

მასწავლებლებთან და სალომეს კლასელებთან საუბრისას გამოიკვეთა ერთი რამ, თუ გამოძახებული ბავშვი თავს ვერ გაართმევს დაფასთან დავალებას, მთელი კლასი ისჯება და სახლში გასაკეთებლად აძლევს დავალებას. სალომეს მისცა 45 ზმნა, კლასელ გოგონას 35, ხოლო დანარჩენ ბავშვებს 25-25.

მამა დირექტორთან შევიდა და უთხრა, რომ ძალიან განერვიულებულია ამ საკითხის გამო. აუხსნა, რომ თუ ყველა საგნის მასწავლებელი მოინდომებს ამ ზომის და მოცულობის საშინაო დავალება მისცეს ბავშვებს, ისინი უბრალოდ ერთ კვირას მოანდომებენ

დავალებების შესრულებას. დირექტორმა გულისტკივილი გამოთქვა და დახმარება შეჰპირდა სალომეს მამას.

„ყოველივე ამის შემდეგ მიდის სალომე სკოლაში, 16 გვერდი აქვს სავსე და მასწავლებელი ბავშვს იძულების გზით თავისი ხელით აწერინებს 2-იანს, და განმარტებას, „იმის გამო რომ დავალება სრულად არ ჰქონდა“. მასწავლებელი ითხოვს, რომ მოსწავლეებმა მხოლოდ ქართული ისწავლონ, მარტო მისი დავალებები შეასრულონ“ იმის იქით 6-7 საგანი აღარაფერია. არანაირი კომუნიკაცია მშობელთან არ აქვთ. თუ მიხვალ და რაიმეს იტყვი, კივიან, წივიან, ისე წამოხვალ სკოლიდან, შეურაცხყოფილი, - აღნიშნა მშობლებთან საუბარში სალომეს მამამ.

ტრენერის დასახმარებლად: *მასწავლებელი არის მოძალადე, რომელიც ზომაზე მეტ მოცულობით სამუშაოს აძლევს ბავშვებს, სჯის კლასს მისი შეუსრულებლობის გამო, არ აქვს არავითარი სტრატეგია კლასთან ეფექტური კომუნიკაციის, არ ითვალისწინებს ესგ-ს მითითებას საშინაო დავალების გონივრული მოცულობის შესახებ, მშობლის აზრს, ასევე არ ცნობს პედაგოგის ეთიკის ნორმებს და სხვ. ეს არ არის ერთი მასწავლებლის ახირება, როგორც სიტუაციიდან სჩანს, ამაში, სხვა მასწავლებლებიც მონაწილეობენ და იგი სრულიად სკოლის პრობლემას წარმოადგენს. სკოლის დირექციამ უნდა განახორციელოს ქმედითი ზომები, რათა გათვალისწინებული იქნას მოსწავლეების დატვირთვა და გონივრული ზომის საშინაო დავალებების რეკომენდაციები შეიმუშაონ პედაგოგიურ კრებაზე. დარღვეულია მშობლებთან კომუნიკაციის ნორმებიც, რაც ასევე განხილული უნდა იქნას და მასწავლებლებმა გამოიყენონ ეფექტური კომუნიკაციის სტრატეგიები მშობლებთან სალაპარაკოდ. ასევე განსახილველ თემას მიეკუთვნება მოსწავლის დასჯა საშინაო დავალების შესრულებით, რაც აბსოლუტურად შეუსაბამოა კლასის მართვის დემოკრატიულ ნორმებთან, და ბოლოს დასაფიქრებელია მასწავლებლის არაკოლეგიალური მოთხოვნა მხოლოდ მისი საგნის სწავლის შესახებ.*

სიტუაცია 4

გიორგის და ანდროს დედის მონათხრობიდან: „9 წელია, რაც ამ სკოლასთან ვურთიერთობთ. აქ 2 ბავშვი დამყავს: უფროსი მე-12 კლასშია უმაღლესი აკადემიური მოსწრებით და ზედმიწევნით იცავს სასკოლო დისციპლინას. უმცროსი კი მე-9 კლასშია. პრობლემები გაჩნდა უმცროს შვილთან. მასწავლებელი არ მიმართავს ბავშვთან ურთიერთობის სწორ ფორმებს, აქვთ მუდმივი კონფლიქტი. შვილთან აღმზრდელობითი საუბრების შემდეგ მასწავლებელსაც ვთხოვე, ბავშვთან უფრო რბილი მიდგომით მოეხერხებინა პრობლემის მოგვარება, რადგან ზოგადად და სხვა შემთხვევებში, სხვა სიტუაციებში, არ არის ბავშვი ისეთი უხეში, როგორც ამ კონკრეტულ შემთხვევაში. ასევე ვთხოვე, რომ ჩემი შვილის პრობლემები არ განეხილა საჯაროდ, მშობელთა კრებებზე, არც სხვა მასწავლებლებისთვის მოეხვია თავზე მისი მოსაზრება. ამ მოთხოვნამ გააღიზიანა მასწავლებელი და დირექცია, რასაც მოჰყვა სკოლის მხრიდან ჩემი და ჩემი მეუღლის არაერთჯერადი შეურაცხყოფა, მშობელთა კრებაზე და სამასწავლებლოში ჩემი და ჩემი ოჯახის, შვილების დახასიათება უარყოფით კონტექსტში, რაზეც დამრიგებელმა მიმანიშნა და მთხოვა სიტუაცია დამელაგებინა ამ მასწავლებელთან. ვეცადე და კორექტულად დაველაპარაკე ამ ყველაფერზე. პასუხად გამლანძღა და შეურაცხყოფა მომაყენა.

საბოლოოდ სიტუაცია ისე გამწვავდა, რომ მოგვთხოვეს ორივე შვილი გაგვეყვანა სკოლიდან, პირადი განცხადების საფუძველზე. კონფლიქტს ემსხვერპლა უფროსი შვილიც. უსამართლობას ბავშვებიც და ჩვენც ძალიან განვიცდით. მძიმე ფსიქოლოგიური ფონის გამო სურვილი არ გვაქვს საჩივრით მივმართოთ სასამართლოს ან ავტორიზაციის საბჭოს.

გრენერის დასახმარებლად: *პრობლემა მდგომარეობს იმაში, რომ მასწავლებელი არ ფლობს მოსწავლეთა ინდივიდუალური სწავლებისა და ურთიერთობის ფორმებს, არის კონფლიქტური, არ*

ურთიერთობს მშობელთან, არ იცავს პედაგოგის ეთიკის ნორმებს, ავრცელებს მოსწავლის შესახებ არასწორ მოსაზრებებს და თავს ახვევს სხვა მასწავლებლებს. ის არა მარტო არ ეკონტაქტება მშობლებს, არამედ საჯაროდ აყენებს შეურაცხყოფას მათ და უარყოფით კონტექსტში განიხილავს მათ ოჯახს. სკოლის პრობლემა კიდევ უფრო ღრმავდება, როცა ის, დირექტორთან ალიანსში, ითხოვს ბავშვების წაყვანას სკოლიდან და ამით უსწორდება მათ.

სიტუაციების განხილვის შემდეგ ტრენერს პრეზენტაცია გამოაქვს ძალადობის ფორმებსა და მათ მახასიათებლებზე; ტრენერები განსაკუთრებით არასულწლოვანების უგულებელყოფაზე ამახვილებენ ყურადღებას, რომლის ხშირი შემთხვევები ფიქსირდება პასუხისმგებელი პირების (დირექტორი, მასწავლებელი, კლასის დამრიგებელი, მშობელი) მიერ.

გამოსაყენებელი მასალა: ეროვნული სასწავლო გეგმა; კანონი ზოგადი განათლების შესახებ; მასწავლებლის ეთიკის კოდექსი; ტრენინგის საპრეზენტაციო მასალა; დანართი 2 - რამდენიმე სტრატეგია ბავშვის დასახმარებლად

აქტივობა 15

ტრენერი მონაწილეებს აცნობს მაია სარიშვილის მოთხრობას „ერთი მარცვალი მზესუმზირასავით“ სთხოვს წაიკითხონ ის და ისაუბრონ მასზე.

განხილვის შემდეგ, მონაწილეებს, ინფორმაციას აძლევენ ოჯახში ძალადობის შესახებ, აცნობენ საკანონმდებლო ბაზას.

„გამოსაყენებელი მასალა: ჰენდაუთი, ტრენერის პრეზენტაცია, დანართი 3 - საკითხავი მასალა მაია სარიშვილი „ერთი მარცვალი მზესუმზირასავით”.

აქტივობა 1.6

აქტივობის პროცესში მონაწილეები არაერთ ფოტოს ეცნობიან, რომლითაც უნდა განსაზღვრონ პიროვნული სანდოობა ფოტოზე გამოსახული ადამიანისა. აქტივობის კონტენტი მიდის იმის აღიარებისკენ, რომ ხშირად მასწავლებლის სტერეოტიპები ხელს უშლის მასწავლებლის ობიექტურობას, ამკვიდრებს სტიგმებს, სტერეოტიპებსა და წინასწარშექმნილ შეხედულებებს, რომელიც მერე სხვა კოლეგებზეც ვრცელდება და გადამდები ვირუსივით მთელს სკოლას მოიცავს-ხოლმე. სავარჯიშოს შემდეგ ტრენერები ააქტიურებენ საპრეზენტაციო მასალას, სადაც საუბრობენ სტერეოტიპებზე, მათ შორის გენდერულ სტერეოტიპებზე, აცნობენ მონაწილეებს ჰადი/ჰაუარდისა და როზენტალ/ ჯეკობსონის ექსპერიმენტებს. ტრენერები საუბრობენ სტერეოტიპების საფრთხეებზეც, არასწორ დამოკიდებულებებზე, რომელმაც შეიძლება დისკრიმინაციამდე მიიყვანოს ადამიანი. აქტივობის ბოლოს ტრენერები აჩვენებენ ვიდეო მასალას ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტის შესახებ და დისკუსიას აწყობენ ფილმის დასრულების შემდეგ.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია; ვიდეომასალა ჯეინ ელიოტის ექსპერიმენტის შესახებ; Omair, Ali Hadi, "Stereotype Threat and STEM Self-Perceptions of Saudi College Women" (2019). College of Science and Health Theses and Dissertations. 292. https://via.library.depaul.edu/csh_etd/292

აქტივობა 1.7

ტრენერი აჯამებს პირველ დღეს ნებისმიერი მისთვის სასურველი მეთოდით. ასევე მას შეუძლია უბრალოდ კითხვით გამოიძიოს მონაწილეთა კმაყოფილების დონე და შეაფასოს დღე.

დღე II

აქტივობა 2.1.

რეფლექსია ერთხელ კიდევ ახსენებს მონაწილეებს წინა დღეს განხილულ თემებს და ხაზს უსვამს რისი განხილვის აუცილებლობა არის მეორე დღისთვის. ასევე ტრენერი ატარებს მინი ლექციას კიბერბულინგის შესახებ: საუბრობს მის საფრთხეებსა და ამოცნობის გზებზე, მასთან ბრძოლის სტრატეგიებზე.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული;
ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია;

აქტივობა 2.2.

ტრენერი ხმამაღლა უკითხავს მონაწილეებს უცნობი ბიჭის წერილს, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით გავრცელდა. წერილის დასრულების შემდეგ იგი აზრის გამოთქმას სთხოვს მონაწილეებს და მიუთითებს, რომ მოძალადე შესაძლებელია იყოს საზოგადოება, სკოლა, მასწავლებელი, თანაკლასელი და ოჯახი. ისინი გაუცნობიერებლად და გაცნობიერებულადაც ძალადობენ ბავშვზე და ამას აკეთებენ, მათი აზრით, ბავშვების კეთილდღეობიდან გამომდინარე. აქტივობა ეხმარება მასწავლებლებს შეძლონ ძალადობის ტიპების დეფინიცია და სახელი დაარქვან მას.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი;
ტრენერის პრეზენტაცია;
დანართი 4 უცნობი ბიჭის წერილი

აქტივობა 2.3

აქტივობა, განიხილავს ზემოთაღნიშნული ჯგუფების თითოეულ წევრს. ესენი არიან ოჯახის წევრები, საზოგადოების წევრები და სკოლის თანამშრომლები, მასწავლებლები, დირექტორი და ა.შ. აქვე საუბარია ძალადობის დროს რეფერირების წესის ამოქმედებაზე და მიმართვიანობის მნიშვნელობაზე. ეს სკოლის ვალდებულებაა და აქტივობა ხელს უწყობს მასწავლებელს დაინახოს საკუთარი პასუხისმგებლობა დებულების ამუშავებაში.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია; დანართი 5 საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 172-ე მუხლის მეექვსე პრიმა პუნქტიდან ამონარიდი

აქტივობა 2.4

ამ აქტივობაში ტრენერი კომუნიკაციას განიხილავს, როგორც კონფლიქტების დარეგულირების საშუალებას და აცნობს მონაწილეებს კომუნიკაციის მრავალსახეობას თავისი ფუნქციებითა და მიზნებით. აქედან გამოყოფს ტრანსფორმაციულ კომუნიკაციას, როგორც ერთგვარი ქოუჩინგის პროცესს მოსწავლის, კოლეგის, მშობლის სულიერი სამყაროს დასანახად და ყველაზე მეტ ყურადღებას აქცევს არაძალადობრივ კომუნიკაციას, როგორც საკლასო ოთახში პოზიტიური ურთიერთობის დასამკვიდრებელ ერთერთ სტრატეგიას. ჟირაფისა და ტურის ენების გასაცნობიერებლად ტრენერის პრეზენტაციაში რამდენიმე ნიმუშია მოტანილი. საწყის ეტაპზე ეს საკმარისია, რადგან კომუნიკაცია განიხილება, როგორც დამხმარე ინსტრუმენტი, და არა როგორც დამოუკიდებელი თემა.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია;

აქტივობა 2.5

როლური თამაში „ნაბიჯი წინ“

როლური თამაშის წინ ტრენერი წინასწარ ამზადებს და მონაწილეებს ურიგებს დაჭრილ ბარათებს (დამხმარე მასალა 1), რომელზეც თითოეული მათგანის როლია დაწერილი. ბარათი ამცნობს მონაწილეს, რომ ბარათზე აღნიშნული ადამიანის(ამერიკის ელჩის შვილი, პირსინგიანი გოგონა, ობოლი ბიჭი და ა.შ.) როლში უნდა შევიდეს და აქედან გამომდინარე იფიქროს ტრენერის შეთავაზებულ კითხვებზე (დამხმარე მასალა 2). მონაწილეები ფიქრობენ კითხვების მიხედვით მათი გმირის ცხოვრებაზე. 2-3 წთ ფიქრის შემდეგ ტრენერი მონაწილეებს სთავაზობს გამოვიდნენ, ერთ რიგად განთავსდნენ ერთმანეთის გვერდით და უპასუხონ ტრენერის დებულებებს (დამხმარე მასალა 3). ტრენერი წინასწარ აფრთხილებს მონაწილეებს, რომ მის მიერ წაკითხულ დებულებაზე დადებითი პასუხის შემთხვევაში მათ წინ უნდა გადმოდგან ნაბიჯი, ხოლო უარყოფითი პასუხების შემთხვევაში - ადგილზე დარჩნენ. კითხვის პროცესში შეიძლება დაწინაურდეს რამდენიმე მონაწილე, ხოლო ზოგიერთი ჩამორჩეს. დებულებების ამოწურვის შემდეგ ტრენერი მონაწილეებს იგივე მდგომარეობაში ტოვებს (შეიძლება სამუშაო მაგიდებთანაც გააგრძელონ დიალოგი, მაგრამ მეტი ექსპრესიულობისათვის იქვე სჯობს კითხვების დასმა) და უსვამს პლენარული სხდომის კითხვებს (დამხმარე მასალა 4). პლენარული კითხვების დასმის დროს პასუხების გაცემის სურვილი შეიძლება ყველა მონაწილეს ჰქონდეს. მიეცით საუბრის საშუალება უკან დარჩენილებს, რათა ორთქლი გამოუშვან, ხოლო წინ წასულებს, - რათა ზუსტად შეიგრძნონ უკან დარჩენილების ემოცია.

დამხმარე მასალა № 1 -
დასაჭრელი ბარათი-როლები მონაწილეებისათვის

ამერიკის ელჩის შვილი ხარ, ცხოვრობ იმ ქვეყანაში, სადაც მამა მუშაობს და კერძო სკოლაში სწავლობ.

სოფელში ცხოვრობ მშობლებთან და უმცროს და-ძმასთან ერთად. სიმსუქნის გამო მეგობრები დაგცინიან ხოლმე.

დედაშენი შენზე მშობიარობისას გარდაიცვალა. მამამ სხვა ცოლი შეირთო და შენ მამასთან, დედინაცვალთან და მის 2 ქალიშვილთან ერთად ცხოვრობ.

ერთ პატარა ქალაქში ბებია-ბაბუასთან ერთად ცხოვრობ.
15 წლის ხარ. შენი მშობლები გაყრილები არიან. დედა დიდ ქალაქში მდივნად მუშაობს. მამას იშვიათად ხედავ.

თქვენ ხართ უდედმამო, ნათესავებთან შეფარებული 9 წლის ბიჭი, რომელსაც ძალიან უყვარს კითხვა.

პატარაობიდან რამდენიმე დედობილ-მამობილთან ერთად გიხდებოდა ცხოვრება, რადგან შენი საკუთარი მშობლები არ გივლიდნენ. შენთან ერთად შვილად აყვანილი 4 ბავშვი ცხოვრობდა. ამჟამად 12 წლის ხარ.

შენ აზიიდან ჩამოხვედი. სკოლაში ამრეზით გიცქერენ შენი თავსაბურავის გამო.

შენი ოჯახი დიდი ქალაქის პატარა ბინაში ცხოვრობს. 8 წლის ბიჭი ხარ და გყავს ბევრი მეგობარი, რომელთაც უყვარხარ.

კარგ სახლში ცხოვრობ, რომელსაც დიდი ბაღი და აუზი აქვს. ქალაქის ერთერთი ბანკის მენეჯერის ქალიშვილი ხარ.

სოფლის ფერმაში ცხოვრობ. მამა ფერმერია. ძროხებს, ბატებს და ქათმებს უვლის.

ბოშა ხარ. პატარა სოფლის განაპირას ერთ პატარა სახლში ცხოვრობ, სადაც აბაზანა არ არის და 6 და-ძმა გყავს.

ბავშვობიდან ობოლ ბავშვთა თავშესაფარში ცხოვრობ და არ იცი ვინ იყვნენ შენი მშობლები.

მამა სატვირთო მანქანის მძღოლია და ხშირად მივლინებაში უწევს წასვლა. დედა მიმტანია და ღამ-ღამობით მუშაობს ხოლმე.

თქვენ ხართ არმიის ჯარისკაცის შვილი, რომელიც იხდის სავადებულო სამხედრო სამსახურს ავღანეთში.

თქვენ ხართ არაბი მუსლიმი გოგონა, რომელიც თავის ღრმად რელიგიურ მშობლებთან ერთად ცხოვრობს. ხართ 16 წლის.

თქვენი მამა ინვალიდი კაცია, რომელსაც მხოლოდ ინვალიდის ეტლით შეუძლია გადაადგილება. დედა ქარხანაში მუშაობს ცვლაში. შენ 13 წლის ხარ.

თქვენ ხარ 17 წლის ბოშა გოგონა, რომელსაც არ დაუმთავრებია დაწყებითი სკოლა.

თქვენ ხართ შიდსის ვირუსით დაავადებული საშუალო ასაკის მეძავის შვილი. ცხოვრობთ სარდაფში დედასთან ერთად. ხარ 12 წლის.

თქვენი მამა და დედა არალეგალური მიგრანტები არიან მალიდან. თქვენ სკოლაში არ დადიხართ.

თქვენ ხართ სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტი. თქვენი დედა სკოლის დირექტორია, მამა გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი.

თქვენ ხართ ახალგაზრდა ნარკომანი მხატვარის მეგობარი გოგონა. ხართ 16 წლის და პრობლემები გაქვთ ოჯახთან.

თქვენ ხართ 12 წლის სქესობრივად მოუმწიფებელი ვაჟი, გოგონას მკვეთრად გამოხატული ხმით და მანერებით.

თქვენ ხართ თავგადახოტრილი პირსინგიანი გოგონა, რომელიც თავისუფალი სექსის მომხრეა.

დამხმარე მასალა №2 როლური თამაშის კითხვები როლში შესასვლელად

როგორი ბავშვობა გაქვთ? როგორ სახლში ცხოვრობთ? რა თამაშებს თამაშობთ? სად მუშაობენ თქვენი მშობლები?

როგორია თქვენი ყოველდღიური ცხოვრება? როგორია თქვენი სოციალური გარემო? ვინ არიან თქვენი მეგობრები?

რას აკეთებთ დილით, შუადღეს, საღამოს? რა სახის ცხოვრებას ეწევით? როგორ ატარებთ არდადეგებს? რას აკეთებთ თავისუფალ დროს?

დამხმარე მასალა №3 ძირითადი დებულებები

ტრენერი სიტუაციებს კითხულობს ხმამაღლა. თითოეული სიტუაციის წაკითხვის შემდეგ მიეცით მონაწილეებს დრო - გადადგან ნაბიჯი წინ და მიმოიხედონ, რათა დააკვირდნენ, რამდენად დაშორდნენ ერთმანეთს.

- თქვენი ოჯახი ფინანსურად უზრუნველყოფილია
- თქვენ ნორმალური საცხოვრებელი გაქვთ
- თქვენ ხედავთ, რომ თქვენს მშობლიურ ენას, რელიგიას და კულტურას პატივს სცემენ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობთ.
- თქვენ გრძნობთ, რომ თქვენს აზრს მასწავლებლები აფასებენ და თქვენ გისმენენ, ხოლო მეგობრები აზრს გეკითხებიან სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით.
- თქვენ არ გეშინიათ, რომ პოლიცია გაგაჩერებთ
- თქვენ იცით, ვის მიმართოთ რჩევებისა და დახმარებისთვის

- თქვენ არასოდეს განგიცდიათ დისკრიმინაცია თქვენი წარმომავლობის გამო
- თქვენ გაქვთ ადექვატური სოციალური და სამედიცინო დაცვა
- თქვენ შეგიძლიათ მშობლებთან ერთად დასასვენებლად წასვლა, წელიწადში ერთხელ
- თქვენ შეგიძლიათ მოიპატიჟოთ მეგობრები სახლში, სადილზე
- თქვენ საინტერესო ცხოვრება გაქვთ და კარგ მომავალს ელოდებით
- თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ და ემსახუროთ თქვენს მიერ არჩეულ პროფესიას
- თქვენ არ გეშინიათ სკოლაში შეურაცხყოფის
- თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ საერთაშორისო სემინარში საზღვარგარეთ, რადგან მშობლები გაფინანსებენ
- თქვენ შეგიძლიათ მონაწილეობა მიიღოთ სკოლის თვითმმართველობის არჩევნებში
- თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ კინოში ან თეატრში, კვირაში ერთხელ
- თქვენ შეგიძლიათ იყიდოთ ახალი ტანსაცმელი, სულ მცირე, სამ თვეში ერთხელ
- თქვენ გრძნობთ, რომ თქვენი მშობლები წარმატებულები და დაფასებულები არიან იმ საზოგადოებაში, რომელშიც ცხოვრობთ
- თქვენ შეგიძლიათ ინტერნეტით სარგებლობა და მისი გამოყენება

- თქვენ გრძნობთ, რომ პოპულარული ხართ თქვენს მეგობრებში.
- თქვენ პატივს გცემენ მშობლები და ყოველთვის სიყვარულით გხვდებიან

დამხმარე მასალა №4
კითხვები პლენარული სხდომისათვის

1. როგორი შეგრძნება გქონდათ, როდესაც თქვენს გვერდით მდგომნი წინ მიიწევდნენ?
2. დაგრჩათ ისეთი შთაბეჭდილება, რომ თქვენი ძირითადი უფლებების უგულვებელყოფა ხდებოდა?
3. გსურთ თქვენს ემოციებზე საუბარი?
4. წინ წასულებს რა შეგრძნებები გქონდათ, როდესაც წინ მიიწევდით?
5. მოიხედეთ თუ არა უკან, როცა თქვენი მეგობრები ვეღარ მოგყვებოდნენ?
6. ხდება თუ არა ანალოგიური თქვენს ირგვლივ?
7. ადამიანის რომელი უფლებები დადგა კითხვის ნიშნის ქვეშ?
8. რა შეიძლება მოჰყვეს უთანასწორობას, ძალაუფლების მოპოვებას რომელიმე ერთი ან რამდენიმე ჯგუფის მიერ?
9. რა შეიძლება იყოს საზოგადოებაში უთანასწორობის წინააღმდეგ გადადგმული პირველი ნაბიჯი?

გამოსაყენებელი მასალა: ჰენდაუთი;
ტრენერის პრეზენტაცია; მოდული

აქტივობა 2.6-2.7

ტრენერი მონაწილეთა ცოდნას გამოიხმობს პოზიტიური სასწავლო გარემოს შესახებ და აქედან გამომდინარე ქმნის 21-ე საუკუნის მასწავლებლის სახეს. მონაწილეები ნახულობენ მხატვრული ფილმის „თავისუფლების მწერლები“ 2 მონაკვეთს. პირველი შეეხება ახალგაზრდა მასწავლებლის პირველად მისვლას სკოლაში და მდგომარეობის უშუალოდ ნახვას. ხოლო მეორე ნაწყვეტი ფილმიდან ასახავს უკვე დიაგნოსტირებულ კლასში ახალგაზრდა მასწავლებლის მიერ დამუშავებულ სტრატეგიებს. სადისკუსიო მასალა წინაპირობას ქმნის და აქცენტირებს იმაზე, თუ ვინ შეიძლება შექმნას მოსწავლეზე ორიენტირებული სკოლა, რა ტიპის მასწავლებელმა, რა მახასიათებლები უნდა ჰქონდეს მას და ა.შ. ტრენერი, როგორც კი დაასრულებენ მონაწილეები ჩამონათვალს, პრეზენტაციას აკეთებს 21-ე საუკუნის მასწავლებელზე და მონაწილეთა ცოდნას ავსებს არაძალადობრივი გარემოს შექმნის, ამ გარემოში მასწავლებლის მოქმედებისა და ზოგადად უსაფრთხო საზოგადოების შესახებ.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია; ვიდეომასალა ფილმიდან „თავისუფლების მწერლები“

აქტივობა 2.8

მონაწილეები აკუმულაციური რუკის საშუალებით ერთხელ კიდევ იმეორებენ თემებს, ასახელებენ თითოეულ მათგანს, აკავშირებენ ერთმანეთთან და ლოგიკურ ბმას ეძებენ ახალ ლექსიკურ ერთეულებს, თემებს, სიტყვებსა და ფრაზებს შორის. ეს ეხმარება მათ მთლიანობაში აღიქვან თემა და დაინახონ კავშირები სხვადასხვა საკითხებთან, რომელიც უშუალოდ ეხება ბულინგს და/ან რომელთანაც თითქოს, საერთო არაფერი აქვს ძალადობის საკითხებს.
ტრენინგის ბოლოს მონაწილეებთან ერთად ტრენერი განიხილავს მოლოდინების თემასაც: კითხულობს თითოეულ მათგანს და მონაწილეებთან ერთად ახმოვანებს შესრულდა თუ არა ესა თუ ის მოლოდინი.

გამოსაყენებელი მასალა: მოდული; ჰენდაუთი; ტრენერის პრეზენტაცია; მონაწილეთა მოლოდინები სტიკერებზე

დანართი 1 აქტივობა 13

ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმიდან: თავი II სწავლა-სწავლების მიზნები და საგანმანათლებლო პრინციპები

მუხლი 9 ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები

ე) სწავლა-სწავლება უნდა მოიცავდეს ცოდნის სამივე კატეგორიას: დეკლარატიულს, პროცედურულსა და პირობისეულს.

ე.ა) დეკლარატიული ცოდნა სტატიკური ხასიათისაა. იგი გულისხმობს თეორიების, ფაქტების, წესების ცოდნას და პასუხობს კითხვას: რა ვიცი?

ე.ბ) პროცედურული ცოდნა დინამიკურია და იძლევა ცოდნის რეალიზების საშუალებას. პროცედურული ცოდნა პასუხობს კითხვას: როგორ გავაკეთო/როგორ შევასრულო?

ე.გ) პირობისეული ცოდნა დინამიკურია და გულისხმობს პირობების, ანუ არსებითი ნიშან-თვისებების ამოცნობას. იგი უზრუნველყოფს სხვადასხვა კონტექსტში ცოდნის ადეკვატურად გამოყენებას და პასუხობს კითხვას: როდის და/ან რატომ გამოვიყენო ეს ცოდნა?

თავი IV საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზება

მუხლი 18 სკოლის საერთო კულტურა

ვ) ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და უსაფრთხოების დაცვას ჯანსაღი ცხოვრების წესის დაცვას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსწავლის ფიზიკური და ფსიქიკური კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად, რათა საფრთხე არ შეუქმნას საკუთარ და სხვათა სიცოცხლეს, ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას. ამის გათვალისწინებით სკოლის საერთო კულტურა მოსწავლეს უნდა დაეხმაროს თავიდან

აირიდოს ნეგატიური ფაქტორების ზემოქმედება, გააცნობიეროს ჯანსაღი ცხოვრების არსი (ზომიერება ყველაფერში, გაკაჟება, სწორი კვება, ცხოვრების რაციონალური რეჟიმი, რისკების თავიდან აცილება, მავნე ჩვევებზე უარის თქმა და სხვ.) და გაიაზროს მისი მნიშვნელობა;

თ) **კონფლიქტების მშვიდობიანად მოგვარების გზების სწავლებას** კონფლიქტი ცხოვრების განუყოფელ ნაწილია. სკოლაში ხშირად კონფლიქტის თანმდევი პროცესია ძალადობაც (ბულინგი). ამის გათვალისწინებით, სკოლის საერთო კულტურა ხელს უნდა უწყობდეს ფიზიკური თუ ფსიქიკური ძალადობის ფენომენის გააზრებას, ძალადობასა და კონფლიქტს შორის არსებული განსხვავებების გაცნობიერებასა და კონფლიქტების არაძალადობრივი მეთოდებით გადაჭრის გზების სწავლებას;

მუხლი 19 დამრიგებელი

3. დამრიგებლის მუშაობა წარიმართება შემდეგი პრინციპებით:

ა) სრულფასოვანი აღზრდა სააღმზრდელო მუშაობა მიმართული უნდა იყოს პიროვნების ფიზიკური, კოგნიტური (შემეცნებითი) და ემოციურ-სოციალური განვითარებისაკენ;

ბ) მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენა დამრიგებლის ფუნქციაა მოსწავლის პოტენციური ძალების ამოქმედება და მისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოვლენისათვის სათანადო პირობების შექმნა;

გ) მოსწავლეებში პასუხისმგებლობის გრძნობის განვითარება დამრიგებელმა მოსწავლეებს საშუალება უნდა მისცეს, მონაწილეობა მიიღონ აქტივობების (ზეიმები, ლაშქრობები, ექსკურსიები და სხვ.) დაგეგმვასა და ამ დროს წამოჭრილი პრობლემების მოგვარებაში;

დ) თანამშრომლობის პრინციპი დამრიგებლის ურთიერთობა მოსწავლეებთან უნდა ემყარებოდეს თანამშრომლობას, პატივისცემასა და ნდობას.

კომპეტენციები

კომპეტენცია განისაზღვრება, როგორც ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების კომბინაცია, რომლებიც მიეკუთვნება შესაბამის სიტუაციას.

საკვანძო კომპეტენციები კი ის კომპეტენციებია, რომლებიც ხელს უწყობენ პიროვნულ სრულყოფას, სოციალურ ჩართულობას, აქტიურ მოქალაქეობას და დასაქმებას.

ცოდნაზე დაფუძნებული საზოგადოების განვითარება პიროვნულ, საზოგადოებრივ და პროფესიონალურ სფეროებში მოთხოვნებს უზრდის საკვანძო კომპეტენციებს.

ინფორმაციის და მომსახურების მიღების გზები სულ მუდამ ცვლილებას განიცდის, ასევე ცვალებადია საზოგადოების სტრუქტურა და ე.წ. სახე. იზრდება ინტერესი სოციალური ურთიერთგათანაბრების და განვითარებადი დემოკრატიული მოქალაქეობის მიმართ; ყოველივე ეს ითხოვს ადამიანთა ინფორმირებულობას, დაინტერესებასა და აქტიურობას. შედეგად კი ვიღებთ იმას, რომ ყველასათვის საჭირო ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულებები ასევე სულ მუდამ იცვლება.

მოქალაქეობრივი კომპეტენცია (ხაზგასმული დებულებები პირდაპირ კავშირშია ტრენინგზე განსახილველ თემასთან):

- ევროპული ღირებულებების გააზრება
- ეროვნული, ევროპული და მსოფლიო საკვანძო ისტორიული ფაქტების ცოდნა და გააზრება
- სხვადასხვა პოლიტიკური სისტემების და მათი ღირებულებების ცოდნა
- საერთო საზოგადოებრივი ინტერესის გამო სხვებთან ურთიერთობის უნარი
- კრიტიკული აზროვნების და ინტეგრირებული პრობლემების გადაწყვეტის უნარი.

- ტრადიციულ და ახალ მედიასთან ინტერაქციის უნარი
- მედიის დემოკრატიული საზოგადოებაში წვლილის გააზრების უნარი
- ადამიანის უფლებათა პატივისცემის უნარი
- სოციალური და კულტურული მრავალფეროვნების, გენდერული თანასწორობის, სოციალური ჩართულობის და ჯანსაღი ცხოვრების წესის გააზრების და დაფასების უნარი.
- პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური საკითხების მიმართ ინტერესი
- მშვიდობისმოყვარეობის და არა-ძალადობრივი კულტურის მხარდაჭერა
- სხვისი პირადი სივრცის პატივისცემა
- სოციალური სამართლიანობის აღქმის და დაცვის უნარი

2018 წელს საკვანძო კომპეტენციებს გადახედეს და ისინი დღეს ასე გამოიყურება:



დანართი 2 - აქტივობა 1.4

რამდენიმე სტრატეგია ბავშვის დასახმარებლად

- პირველ რიგში, უნდა ავუხსნათ, რომ ბულინგი ჩვენთვის მიუღებელია და ამას შესაძლოა მძიმე შედეგები მოყვეს სახლში, სკოლაში ან საზოგადოებაში.
- ზოგჯერ ბავშვები იმიტომ ამცირებენ სხვებს, რომ თავად ვერ უმკლავდებიან ძლიერ ემოციებს, როგორიცაა ბრაზი, იმედგაცრუება ან დაუცველობის შეგრძნება. ზოგჯერ კი მათ უბრალოდ სჭირდებათ ისწავლონ, როგორ გადაწყვიტონ კონფლიქტები და განასხვავონ კონფლიქტის არააგრესიული გადაწყვეტის გზები ბულინგისგან.
- ყურადღებით მოვეკიდოთ ბულინგის ნებისმიერ გამოვლინებას ბავშვის მიერ:
- დავარწმუნოთ, რომ ბულინგის სასტიკად წინააღმდეგი ხართ და ასეთ ქცევას შესაბამისი შედეგები მოჰყვება.
- შევიმუშავოთ ბულინგთან დაკავშირებული წესები. მაგალითად, თუკი სხვა ბავშვების მიმართ აგრესიას იჩენს იმეილით, ტექსტური შეტყობინებებით ან სოციალურ საიტზე, ცოტა ხნით შევუზღუდოთ კომპიუტერისა და ტელეფონის გამოყენების უფლება, მშობლებთან შეთანხმებით.
- თუკი აგრესიულად იქცევა, და-ძმის ან სხვების მიმართ, აღვკვეთოთ ასეთი ქმედება. ვასწავლოთ კონფლიქტების გადაწყვეტის არააგრესიული გზები, მაგალითად, კონფლიქტის ადგილის დატოვება.
- ვასწავლოთ, რომ მიუღებელია სხვისი დამცირება განსხვავებულობის (რასობრივი, რელიგიური, გარეგნობის, სპეციალური საჭიროებების, სქესის, ეკონომიკური სტატუსის) გამო.

- ჩავუნერგოთ ემპათიის გრძნობა განსხვავებული ადამიანების მიმართ.
- მოვძებნოთ ჯგუფები და კლუბები, სადაც სხვადასხვა ასაკის, განვითარების, უნარების თუ ჯგუფის წარმომადგენელი ბავშვები არიან და მივცეთ ინფორმაცია მათთან ურთიერთობის შესახებ.
- მოვძებნოთ ფაქტორები, რომელიც მოქმედებს ბავშვის ქცევაზე სკოლაში ან სხვა ადგილას, სადაც ის სხვების მიმართ აგრესიას იჩენს.
- გავესაუბროთ მის მეგობრებს და სხვა თანატოლებს, მშობლებს, მასწავლებლებს, ფსიქოლოგს და სკოლის დირექტორს.
- დავადგინოთ, იჩენენ თუ არა ასეთივე აგრესიას სხვა ბავშვები ან მისი მეგობრები.
- გავარკვიოთ, რა ტიპის წნეხს განიცდიან ბავშვები სკოლაში თანატოლებისა და უფროსებისგან, ვისაუბროთ ამ ურთიერთობებსა და წნეხზე, რომელსაც ბავშვი თანატოლებისგან გრძნობს.
- ჩავრთოთ ბავშვი სკოლის გარეთა აქტივობებში, რომ უცხო ბავშვებთან სხვადასხვა ტიპის ურთიერთობები ჰქონდეთ.
- გავითვალისწინოთ, რომ დადებითი თვისებების განმტკიცება გაცილებით შედეგიანია, ვიდრე უარყოფით თვისებებზე ყურადღების გამახვილება და დასჯა.
- დავაკვირდეთ, როდის იქცევიან ბავშვები კარგად, როდის უმკლავდებიან რთულ სიტუაციებს კონსტრუქციული გზებით, ხმამაღლა აღვნიშნოთ ასეთი მომენტები და შევაქოთ ისინი ასეთი ქცევისთვის.
- კარგად დავფიქრდეთ, როგორ ვსაუბრობთ, როცა ბავშვები

გვისმენენ, და როგორ ვმართავთ კონფლიქტებსა და პრობლემებს.

- თუ ბავშვების წინაშე თავად ვიქცევით აგრესიულად, ისინი ხშირ შემთხვევაში მოგვბაძავენ.
- ამიტომ სხვების შესახებ ვისაუბროთ დადებითად, ყურადღება გავამახვილოთ სხვების პოზიტიურ და არა უარყოფით თვისებებზე.
- ხოლო როცა ჩვენს ცხოვრებაში კონფლიქტები ჩნდება, მოვუყვეთ ბავშვებს საკუთარი სირთულეებისა და იმის შესახებ, თუ როგორ ვუმკლავდებით საკუთარ გრძნობებს.
- ბავშვები, ვინც ისმენენ ყვირილს, დამცინავ სახელებს, მწვავე კრიტიკას ან აწყდებიან ფიზიკურ ძალადობას, ხშირად თავადაც ასე იქცევიან სხვა გარემოში.
- თუკი ფიზიკური დაზიანების რისკი არ არსებობს, სწორი გზაა, არ ჩავერიოთ. მაგრამ უნდა დავაკვირდეთ, ხომ არ გადაიზრდება ეს კინკლაობა დაცინვაში, დამცირებასა და ფიზიკურ აგრესიაში.
- აუცილებლად უნდა ვესაუბროთ ბავშვებს ხშირად, თუ როგორი ქცევაა მისაღები და როგორ შეიძლება კონფლიქტების აგრესიის გარეშე გადაწყვეტა.
- ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, დავაკვირდეთ საკუთარ ქცევას, როგორ ველაპარაკებით ბავშვებს და როგორ ვმართავთ მათ წინაშე საკუთარ ძლიერ ემოციებს.
- ცხადია, ხშირად დაგვჭირდება დისციპლინისა და კონსტრუქციული კრიტიკის გამოყენება, მაგრამ ზღვარს არ უნდა გადავიდეთ და არ უნდა გამოვიყენოთ ბრალდებები და დამამცირებელი სახელები.
- თუკი ბავშვის ქცევა არ მოგვწონს, ხაზი გავუსვათ, რომ ეს ბავშვის ბრალი კი არაა, არამედ მისი კონკრეტული ქცევაა

არასწორი, და დავანახოთ ჩვენი რწმენა, რომ ის შეძლებს ამ ქცევის შეცვლას.

- რთულ შემთხვევაში იმისთვის, რომ ბავშვმა შეწყვიტოს ბულინგში მონაწილეობა, ფსიქოლოგები, მოძღვარი, თერაპევტი ან ექიმი შესაძლოა ჩვენთვის კარგი დასაყრდენი აღმოჩნდეს. ისინი დაგვეხმარებიან, სწორად განვსაზღვროთ ის სიტუაციები, რომლებიც ბავშვის აგრესიას და ბულინგს იწვევენ, რათა ერთად აღვკვეთოთ ამის მიზეზები.
- თუკი ბავშვს გამომწვევი ქცევა ახასიათებს, ხშირად გამოხატავს აგრესიას და უჭირს ბრაზის მართვა, შესაძლოა ეს დაკავშირებული იყოს არასწორ კვებასთან ან ძილის რეჟიმთან, ან მას სჭირდებოდეს ქცევითი თერაპია და რთულ ემოციებთან გამკლავების სწავლა.
- რაც არ უნდა რთული და შრომატევადი იყოს ბავშვის აგრესიისა და ბულინგის აღკვეთა, უნდა გვახსოვდეს, რომ ცუდი ქცევა თავისით არასდროს წყდება.
- ვიფიქროთ იმაზე, თუ რა გავლენა ექნება ბულინგს, როგორც მსხვერპლ ბავშვზე, ისე ბავშვის ქცევის ჩამოყალიბებაზე, მომავალ ცხოვრებასა და ურთიერთობებზე.
- ვიფიქროთ იმაზე, რომ ყველაზე მეტად ჩვენ შეგვიძლია, შევაცვლევინოთ მას ასეთი ქცევა და ვასწავლოთ სწორი ურთიერთობა საზოგადოების სხვა წევრებთან, საკუთარი გრძნობების მართვა და კონფლიქტების გადაწყვეტა არააგრესიული გზით.

მაია სარიშვილი

ერთი მარცვალი მზესუმზირასავით

ერთხელ მართლაც მოახდინა ღმერთმა სასწაული და ერთ-ერთი მორიგი ჩხუბის დროს მე დავყრუვდი. მასვეს რაღაც წამლები და მიტარეს გამოკვლევები. რას არ ეცადნენ, მაგრამ სამი დღე არაფერი მესმოდა. ვხედავდი მშობლების შეშფოთებულ სახეებს, მათ უმწეოდ ამოძრავებულ ტუჩებს, ვხედავდი რა სასოწარკვეთილი ემხობოდა დედა წესით ჭრიალა საწოლზე, ვხედავდი, როგორ ესროდა ჩემი აგირებული პაგარა ძმა ხის კუბიკებს კედელს, მაგრამ არაფერი მესმოდა...

როცა ჩემი ნაჩხუბარი მშობლები შერიგებას გადაწყვეტდნენ ხოლმე, მამის ოთახში შედიოდნენ, კარს კეტავდნენ და იქიდან ან განათებულები, ან შეშლილები გამოდიოდნენ. ეს მოლაპარაკებები მათ შორის ზოგჯერ რამდენიმე საათი გრძელდებოდა და მთელი ამ დროის განმავლობაში, მე ათას სამკითხაო თამაშს ვიგონებდი იმის დასადგენად, შეძლებდნენ თუ ვერა შეთანხმებას. მაგალითად, ლოგინის უშველებელ გადასაფარებელზე, რომელზეც უთვალავი კუბიკი ეხატა, გათვლას ვიწყებდი. პირველ კუბიკს რომ ვადებდი თითს, ვამბობდი: „შერიგდებიან“ მეორეზე – „ვერ შერიგდებიან“ მესამეზე – ისევ „შერიგდებიან“ და ასე, ვიდრე გადასაფარებელის ბოლოში არ გავიდოდი. უკანასკნელ კუბიკზე ამოსულ სიტყვას კი იმის მინიშნებად ვთვლიდი, რაც ცოტა ხანში მამას ოთახიდან გამოსული მშობლების სახეებზე უნდა წამეკითხა...

ან ჩვენს იადონს ვაკვირდებოდი გალიაში და ვფიქრობდი: ვიდრე ხუთასამდე დავითვლი, თუ გალობას დაიწყებს, აუცილებლად შერიგდებიან-მეთქი...

ისე ძალიან მინდოდა ისინი ერთად ყოფილიყვნენ, მზად ვიყავი ათასი სიგიჟე გამეკეთებინა და ღმერთს ვეუბნებოდი: აი, მე შევჭამ სკოლის ეზოში ამოსულ სამ სხვადასხვანაირ ბალახს და არ მოკლა დედაჩემი დღეს, თუ ბევრს იტირებს. ან: აი, მე გავიჭრი თითს პასტიდან ამოცლილი ზამბარით, ოღონდ, თუ მამა დღეს ყვირილს დაიწყებს, დამაყრუე...

ჰოდა, ერთხელ მართლაც მოახდინა ღმერთმა სასწაული და ერთ-ერთი მორიგი ჩხუბის დროს მე დავყრუვდი. მასვეს რაღაც წამლები და მიტარეს გამოკვლევები. რას არ ეცადნენ, მაგრამ სამი დღე არაფერი მესმოდა. ვხედავდი მშობლების შეშფოთებულ სახეებს, მათ უმწეოდ ამოძრავებულ ტუჩებს, ვხედავდი რა სასოწარკვეთილი ემხობოდა დედა წესით ჭრიალა საწოლზე, ვხედავდი, როგორ ესროდა ჩემი ატირებული პატარა ძმა ხის კუბიკებს კედელს, მაგრამ არაფერი მესმოდა...

სამი დღის შემდეგ კი გათოვდა. ეს დილაუთენია მოხდა. გავაღვიძე დედაჩემი და ვუთხარი: ფარდები გადაწიე და ნახე, ძალიან ხმამაღლა თოვს და ამან გამაღვიძა-მეთქი. მართლაც გათოვებულიყო. გადათეთრებული ვაჟა-ფშაველას ძეგლი ღმერთივით იდგა ჩემი აივნის წინ და ვერაფერს მპირდებოდა. მე კი მინდოდა ვინმე ძლიერი და კეთილი, რომ ისე დავპატარავებულიყავი, მის ჯიბეში ჩავმძვრალიყავი და ერთი მარცვალი მზესუმზირასავით გავყუჩებულიყავი იქ შეუმჩნევლად.

ახლა მე 45 წლის ვარ და 4 შვილს ვზრდი, მაგრამ ბოლო წლებია, მთავარ პრობლემად ის მექცა, რომ ბავშვი მაია აღმოცენდა უცებ ჩემში და თუმცა არაფერს მეუბნება, მისი დუმილიც მუნჯთა სასოწარკვეთილი ხმაურივით შემზარავია. ამის გამო ფსიქოლოგებთან სიარულიც მომიწია, მაგრამ ვერავინ შეძლო ამ ბავშვის ჩემთან შემორიგება, რადგან იგი იმისთვის, რაც წლების განმავლობაში უხმოდ ითმინა, ახლა გვთხოვდა მეც და სამყაროსაც პასუხს. პასუხი კი ჩვენ არ გვქონდა...

მე შიშში გავიზარდე. უამრავ შიშში:

რომ მამა, რომელსაც ვუყვარდი, ერთხელ, დაყვირების დროს სახლივით დამანგრევდა და მერე თავს მოიკლავდა...

რომ დედას სამსახურიდან დამირეკავდნენ ერთ დღეს და მეტყოდნენ, რომ უცებ, ლექციის ჩატარებისას მოკვდა...

რომ მუსიკის მასწავლებელი ისევ დამცინებდა იმის გამო, რომ ტირილის დროს წამოსული სურდოს მოსაწმენდად, „უპატრონობის გამო“ ცხვირსახოცი არ აღმომაჩნდებოდა...

რომ დამრიგებელი თავში ტილებს აღმომიჩენდა და ისევ და ისევ კლასში გამოაცხადებდა ხმამაღლა ამას...

არ ვიცი, რამ გააცოცხლა, ამდენი წლის შემდეგ, ამდენი ძველი შიში ჩემში, მაგრამ ფაქტია, მათ ტყვეობაში სრულიად უძლური ვიდექი და უუნარო. და როგორც ბავშვობისას ვერ ვიცავდი თავს ვერასდროს და ვერავისგან, ახლა ამ ბავშვი მაიასაგან ვეღარ ვიცავდი თავს. ის კი პასუხს მთხოვდა.

მეხსიერებამ ყველაფერი უკან ამომომიყარა, რაც დამარხული და განეშომპალებული მეგონა.

დროთა განმავლობაში ეს ბავშვი მაია მარტო საკუთარი თავის ვერდაცვას კი არა, სხვების ვერდაცვასაც არ მპატიობდა. ყველა ერთ მწკრივში ჩააყენა, ვისაც ჩემს დასანახად დასცინოდნენ და ჩაგრავდნენ და რომელთა დასაცავადაც არასდროს ხმა არ ამომიღია:

ბავშვი, რომელსაც მუდამ მასხრად იგდებდნენ იმის გამო, რომ უმამოდ იზრდებოდა და დედის გვარს ატარებდა;

ბავშვი, რომელსაც ჩხუბი არ შეეძლო და ამის გამო მერხზე დააბეს და შარვალი ჩახადეს;

ბავშვი, რომელსაც რაღაც დაავადების გამო უცნაური გამომეტყველება ჰქონდა და წებო ჩაასხეს თმებში.

ასეთი უამრავი შემთხვევა გაცოცხლდა.

მასწავლებლები არასდროს იძიებდნენ ამ ამბებს ღრმად და კლას-

შიც არავინ იყო ისეთი, ხმამაღლა ეთქვა რამე. ვერც მე აღმოვჩნდი ასეთი. მხდალი ვიყავი მეც. ვერასდროს ვერავინ დავიცავი. ეს სულ მამღვრევდა და იქნებ, ამიტომაც, სპეციალობად ისეთი პროფესია ავირჩიე, რომ მუდამ ბავშვებთან მქონოდა ურთიერთობა – დაწყებითი კლასების მასწავლებელი გავხდი. ეს უფრო დანაშაულის გამოსყიდვას ჰგავდა. ყოველ გაკვეთილზე ისე შევდიოდი, როგორც საკუთარ კლასში ბავშვობისას და მერხებთანაც ჩემი კლასელები ისხდნენ თითქოს და მეც ერთი ბავშვი მაიათი მოსწავლე ვიყავი და მეორე, გაზრდილი მაიათი - გაკვეთილს ვატარებდი.

ამ სიმძაფრემ შემაძლებინა ბავშვების თვალებიდან მათი ამბების ამოკითხვის დიდოსტატი გავმხდარიყავი და იქნებ ამიტომაც მენდობოდნენ ყველანი და უამრავ ნათელ და თბილ წერილთან ერთად, ძალიან მძიმე წერილებსაც ვღებულობდი. ამ წერილებში კი მათი მთავარი საწუხარი მშობლები იყვნენ:

„მამა ციხეშია. დედა სულ ტირის. ბებია ეჩხუბება არ შეურიგდეო. ჩუმად ვისმენ, მამაზე რომ ლაპარაკობენ. მაგათ ჰგონიათ, არაფერი ვიცი. მინდა ერთხელ დავიყვირო: ყველაფერი ვიცი და მეც მალაპარაკეთ-მეთქი. ციხე სირცხვილია. ქმარს რომ გაშორდები, ეგეც სირცხვილია. ცუდად რომ ვსწავლობ, ეგეც სირცხვილია და მაინც ვერ ვსწავლობ კარგად.“

„მამა ისევ გვიან მოვიდა და პირველ სართულზე ჩაცმულმა დაიძინა. მე და დედა მეორე სართულზე ვიწექით. დილით რომ სკოლაში მოვდიოდი, მაშინ ვნახე ტანსაცმლით ჩაძინებული მამა და საფეთქელზე ვაკოცე. მამა აღარ მოდის სახლში ხშირად. ის ტელევიზორში ჩანს ზოგჯერ. მამა ცოტათი ცნობილია, მაგრამ დედა აღარ უნდა ცოლად. მე მიყვარს მამასთან ჩახუტება და თუ დედასთან აღარ იცხოვრებს, სადაც ვნახავ, იქ ჩავეხუტები ხოლმე და ერთხელაც მიხვდება, რომ ჩვენთან ჯობია ცხოვრება.“

„უნდა დამეხმაროთ და ჩემი მშობლები შეარიგოთ. მე ზოგჯერ ხომ ვამბობ თავი მტკივა-მეთქი? სინამდვილეში ვიტყუები და მინდა ჩემს მშობლებს შევეცოდო და თქვან: ოღონდ ეს გვყავდეს კარგად და არაღასოდეს ვიჩხუბებთო.“

მეც ვწერდი წერილებს: ხან მშობლებს, ხან მასწავლებლებს და ხან ნათესავებს, მაგრამ ვერასდროს ვბედავდი ეს წერილები ადრესატებითვის მიმეცა. ვერაფერს მიხვდებოდნენ და იმიტომ. ერთხელ დირექტორსაც დავუწერე გრძელი წერილი, რატომ არ მიყვარს სკოლა, მაგრამ ვერც მისთვის გავბედე გადამეცა ეს წერილი, რადგან ვიცოდი, აუცილებლად დამსჯიდნენ და დასჯის ყველაზე საშიში ფორმა ჩემთვის სკოლიდან გარიცხვა და მშობლების დაბარება კი არა, დაყვირება იყო.

როცა ვინმე მიყვიროდა, მე ვხედავდი, როგორ სწრაფად მოდიოდნენ ტორნადოს ბორბალივით დაბზრიალებული ბგერები ჩემკენ და მეგონა ისე ვიფქვებოდი, როგორც წისქვილში ხორბლის მარცვლები, ან ელექტროსაფქვავში – ყავა... ამ დანამცეცების ისე მეშინოდა, მუდამ წესიერი ვიყავი და ამ ჩემს საზარელ წერილებს სკოლის გვერდით რომ თხრილები იყო, იქ ვმარხავდი. მაშინ ქავთარაძის ქუჩა ბოლომდის გაჭრილი არ იყო და სახლების ასაშენებლად საძირკვლებს თხრიდნენ, გზის გასაყვანად ბორცვებსაც ასწორებდნენ და ეს უწესრიგო სივრცე იყო ჩემი ყველაზე მშვიდი სამყოფელი, ჩემი ხმამაღლა ვერთქმული სიტყვების სასაფლაო და ახლა, წლების მერე, როცა ამ ქუჩაზე მიწევს გავლა და ამ კორპუსებს ვუყურებ, სულ მიკვირს რატომ არ ხმებიან ეს სახლები იმ ხეებივით, რომელთა ფესვებშიც შხამია ჩამარხული...

ჩემი შვილები მეუბნებიან: მგონი, შენ ჩვენზე პატარა ხარო და მე ეს მაფრთხობს, რადგან მინდა, ამ ოთხს ჩემს გვერდით დაცულობის განცდა ჰქონდეთ და აბა, ბავშვს თუ ხედავენ ჩემში, ეს დაცულობის შეგრძნება როგორღა ექნებათ-მეთქი...

ფაქტია, რაც დრო გადის, „დიდობანას“ ვეღარ ვთამაშობ ისევე ნიჭიერად, როგორც ამას წლების წინ, თოჯინები რომ მყავდნენ შვილებად, მაშინ ვახერხებდი...

და ზოგჯერ ვფიქრობ, იქნებ ეს არც ისე საშიშია – საერთოდ აღარ ითამაშო ეს „დიდობანა“ მით უფრო, თუ კაცმა არ იცის რას ნიშნავს იყო „დიდი“.

დანართი 4. აქტივობა 2.2

უცნობი ბიჭის წერილი

ჩვენში ხშირად იციან თქმა, ამას ალბათ ბავშვობაში ჩაგრავდნენ და ამიტომ არის დაბოღმილი და გაბოროტებულიო. დიახ. ეს მართალია. ძალიან ბევრ ადამიანს ყოველდღიური ჩაგვრის, შერცხვენისა და ღირსების შელახვის ტრავმა ცხოვრების ბოლომდე მიჰყვება.

მე 30 წლის გავხდები მალე და მხოლოდ რამდენიმე თვის წინ გავაანალიზე ის, რომ აღარანაირი ბოღმა ჩემი კლასელების მიმართ აღარ მაქვს.

რატომ მოხდა ეს და როგორ შევძელი ამის გაკეთება არ ვიცი. არავინ დამხმარებია ამაში, არც ფსიქოლოგთან მივლია. უბრალოდ, მთელი ჩემი ცხოვრება ვფიქრობდი იმ დღეებზე, რომელიც ძალიან მკვეთრად და ძალიან ღრმად იყო ჩემს ტვინში ჩაბეჭდილი. წლიდან წლამდე თითოეული ეპიზოდი და ბრაზი ნელ-ნელა ქრებოდა. მე ვხედავდი, რომ იმაზე მაღლა ვიდექი, ვიდრე ეს ნეგატიური გრძნობებია ჩემში და საბოლოოდ ყველაფერი გაქრა კიდეც.

როცა ეს გავაანალიზე, სწორედ მაშინ გადავწყვიტე ამ წერილის დაწერა. მაგრამ მაინც შემეშინდა. ცოტა მაინც დამამუხრუჭა „რას იტყვის ხალხის“ ფაქტორმა. მერე კი მივხვდი, ის ადამიანები, რომლებიც ჩემ მიმართ პატივისცემას ამ „აღსარების“ გამო დაკარგავენ, უბრალოდ არ ღირან იმად, რომ მათი აზრი მაინტერესებდეს.

ჩემი „დაჩმორების“ დეტალებს არ გავიხსენებ, არარელევანტურია. ფაქტი ერთია, რომ მეშვიდე კლასის ერთი მშვენიერი დღის შემდეგ, მე ჩემს კლასელებთან შედარებით რამდენიმე საფეხურით ქვემოთ დავიწიე.

ახლაც კი, 17 წლის შემდეგ გარკვეულ დისკომფორტს განვიცდი, როცა მახსენდება. მაგრამ არაუშავს, იმისთვის რომ ეს პრობლემა გადავლახო, ამაზე ხმამაღლა უნდა ვთქვა ყველაფერი.

ვერც კი წარმოიდგენთ, რამდენი ადამიანი, ჩემი თანატოლი და ჩემზე გაცილებით უფროსებიც დამიჩაგრავს მხოლოდ იმიტომ, რომ სხვაზე ვიყავი გაბრაზებული და არ შემეძლო ჩემ მიმართ გამოვლენილი ბულინგის წინააღმდეგ ერთი სიტყვის თქმაც. არადა არ ვარ ბოროტი ადამიანი და როდესაც ამ სიბოროტეს ჩავდიოდი, მერე საკუთარი თავის ძალიან მრცხვენოდა.

რამდენჯერმე ისეთი შემთხვევაც მქონდა, როცა ცოტა ზედმეტი მომივიდა ვიღაცაზე ჯავრის ყრა. ჩემი ბრაზისა და ბოღმის მსხვერპლს ბოდიშებიც ვუხადე და პატიება ვთხოვე იმის გამო, რაც მას გავუკეთე, მაგრამ ამას არაფერი შეუცვლია. მეორე დილას წავედი სკოლაში და იქიდან ახალი ნეგატივით დამუხტული დავბრუნდი.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ვფიქრობდი იმაზე, რომ როდესაც წარმატებული ადამიანი გავხდებოდი, ჩემს კლასელებს შეიძლებოდა ჩემი დახმარება დასჭირვებოდათ, მე არ დავეხმარებოდი და სამაგიეროს ასე გადავუხდიდი.

ვინ იცის რამდენჯერ ჩამძინებია გაღიმებულს ამაზე ფიქრში. ჩემდა საბედნიეროდ ამან მალევე გამიარა და ახლა მეცინება, როცა მახსენდება რა იდიოტური ფიქრები მიტრიალებდა თავში. როგორ ვიჯექი მე, სადღაც, დიდ კაბინეტში და როგორ ვაბრუნებდი უარით ჩემს გაწბილებულ კლასელს უკნ.

მე მეცინება ამაზე, ალბათ თქვენც გაგეცინებათ, მაგრამ აბა დავფიქრდეთ, რამდენი ადამიანია დღეს ისეთი, რომელსაც ასეთ მდგომარეობაში აქვს ნერვები და კიდევ ბოროტულ ოცნებებში გადააქვს თავისი სამყარო იმისათვის, რომ კომფორტულად იგრძნოს თავი.

თქვენ გგონიათ ადვილია ჩაწვდე პრინციპს: „მოექეცი სხვას ისე, როგორც შენ გინდა რომ მოგექცნენ?“ სულაც არა. ამიტომაცაა, რომ დღემდე ყველა ერთმანეთს ჩაგრავს სხვადასხვა ფორმით.

ჩემი აგრესული ქცევები სხვა ადამიანების მიმართ ერთ დღეს შევწყვიტე, როცა გავაანალიზე, რომ ის ადამიანები ზუსტად იმას

გრძნობდნენ, რასაც მე მთელი ჩემი სკოლის მოსწავლეობის პერიოდში. რომ ზუსტად ისე თავჩაქინდრულები, შერცხვენილები და ღირსებაშელახულები მიდიოდნენ სახლებში. უხეშად პასუხობდნენ ძმებს, დებს, დედებს, მამებს, ბებიებს. ფიქრობდნენ იმაზე, როგორ გადამიხდიდნენ სამაგიეროს და როგორ ეგიზღებოდათ ამის გამო საკუთარი თავი. ამ დღის მერე შემძულდა მჩაგვრელი ადამიანი, პირველ რიგში კი საკუთარი თავი.

ყველაზე მძიმე დაღი, რასაც „ჩმორობა“ გადებს არის თავდაცვითი ინსტინქტების გაათმაგება. მომენტალურად, ნებისმიერ სიტუაციაში დგები თავდაცვით პოზიციაში და ელი იმას, რომ ვიღაცა აუცილებლად ეცდება შენზე რამენაირად იძალადოს. გიჩნდება ადამიანების მიმართ უნდობლობა, ხდები ჩაკეტილი და შენთან არავის უშვებ. გეშინია ემოციების გამოვლენის და მოკლედ, ყოველდღიურად, ყოვლად უწყინარ სიტუაციაშიც კი გიწევს მოიქცე ისე, თითქოს სკოლაში ხარ და შიშით ელოდები როდის დაირეკება ზარი და ფიქრობ, მიასწრებ თუ არა სკოლის კარამდე ისე, რომ ერთმა დღემ მაინც ჩაიაროს შეურაცხყოფის გარეშე.

ყველაზე მძიმე კიდე იცით რა არის? რა ძალიან მაგარი ბიჭი და გამტრაკებელიც უნდა ვყოფილიყავი იმ სივრცეებში, სადაც ჩემი კლასელები არ იყვნენ, საკმარისი იყო, რომელიმე მათგანი ჰორიზონტზე გამოჩენილიყო, მომენტალურად ვხდებოდი ის ტიპი, რომელსაც ისინი იცნობდნენ. აი, თაგვის გულიანი ვეფხვის ზღაპარი რომ არის, ზუსტად მასე.

ამიტომ ყოველთვის გავურბოდი მათთან შეხვედრას და თუ ოდესმე შემხვდებოდნენ, მაშინვე ვცდილობდი მალე გაცლას. არადა ისინი გაიზარდნენ და არც აღარაფერს მერჩოდნენ. პირიქით, ყოველთვის ღიმილით და თბილად მხვდებოდნენ ქუჩაში. მაგრამ მათ ღიმილში მე ყოველთვის ცინიზმს და დაცინვას ვხედავდი. არადა აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, არც ერთ მათგანს აღარც კი ახსოვს ის ინციდენტი, რის შემდეგაც მე „კაი ბიჭების სიიდან ამოვეწერე“.

მოკლედ, ასეთი დაღი დამასვა 17 წლის წინ მომხდარმა ინციდენტმა და შემდეგ რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელებულმა მუდმივმა ჯაჭვმა.

ამის ფონზე ჩემს ძმებთან გავუცხოვდი.

იცით რატომ? ძნელია იყო უფროსი ძმა, რომელსაც სკოლაში აჩმორებენ. მე ხომ მაგალითის მიმცემი უნდა ვყოფილიყავი ჩემი ძმებისთვის. მეჩვენებინა, როგორი უნდა იყოს „კაი ბიჭი“ და ვაქკაცი კაცი!

იმის შიშით, რომ ჩემი ძმების თანდასწრებით, შემთხვევით, ჩემს რომელიმე კლასელს არ გადავყროდი, მათთან საერთოდ არ ვურთიერთობდი სახლის გარეთ, მერე და მერე არც სახლში.

როცა ამ ყველაფერს ჩემთვის და ჩემი ცხოვრებისათვის არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა და სხვა ღირებულებები გამიჩნდა, უკვე გვიანი იყო. ჩემი ძმები სხვა წრეში ტრიალებდნენ, სხვა ინტერესები ჰქონდათ და სხვანაირად უყურებდნენ ცხოვრებას. ჩვენ უბრალოდ აღარაფერი გვქონდა საერთო.

მე შევძელი ჩემი კომპლექსების გადალახვა. დიახ, სწორედ ამდენი ხანი და ამდენი წელი დამჭირდა ამისთვის... ამ წერილით მინდა ამ ყველაფერს ჩემს ცხოვრებაში წერტილი დავუსვა.

ეს ჩემი კათარზისია. მაგრამ ჩვენს გარშემო უამრავი ადამიანია, რომელსაც ეს ჯერ არ გაუკეთებია ან საერთოდ ვერასოდეს გააკეთებს. და ეს სხვისთვის, ან მათთვის ძალიან ცუდად დასრულდება.

წერილი გავრცელდა სოციალური ქსელების მეშვეობით

დანართი 5 აქტივობა 2.4

საქართველოს მთავრობის დადგენილება №437 ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების დამტკიცების შესახებ (მუხლები 4; 17; 19; 20)

მუხლი 4. ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა

ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემა მოიცავს:

ა) ძალადობის მსხვერპლი ბავშვის გამოვლენას;

ბ) ბავშვის მდგომარეობის შეფასებას;

გ) ბავშვზე ძალადობის შემთხვევის შესახებ შესაბამისი ორგანოების ინფორმირებას;

დ) საჭიროების შემთხვევაში, ბავშვის განცალკევებასა და განთავსებას ბავშვთა სათანადო სპეციალიზებულ დაწესებულებაში/თავშესაფარში/მინდობით აღზრდაში, რომელიც ხელს შეუწყობს მის უსაფრთხოებასა და რეაბილიტაციას;

ე) ძალადობის შემთხვევაზე ზედამხედველობას.

მუხლი 17. ინფორმაციის გაცვლა ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) სისტემაში

1. რეფერირების პროცედურების ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის რეფერირების პროცედურებში ჩართულ სუბიექტებს შორის ბავშვის შესახებ ინფორმაციის გაცვლა ხდება წერილობითი ფორმით, ხოლო გადაუდებელ შემთხვევაში სატელეფონო ან/და სხვა საკომუნიკაციო საშუალების მეშვეობით.

2. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო და საქართველოს პროკურატურა, თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში, აწარმოებენ ბავშვზე ძალადობის შემთხვევების ერთიან ბაზას, რომელიც ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე, საჭიროების შემთხვევაში, ხელმისაწვდომია რეფერირების პროცედურებში ჩართული

სუბიექტებისათვის. ბაზაში ხდება ბავშვზე ძალადობის ყველა შემთხვევის შესახებ ინფორმაციის თავმოყრა.

3. ბავშვზე ძალადობის ერთიანი ბაზის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებს პოლიცია.

4. თუ სააგენტოს ინიციატივით, ბავშვის დაცვის მიზნით, სასამართლოს მიერ გამოწერილია დამცავი ორდერი, სააგენტო აცნობებს საგანმანათლებლო ან/და სკოლისგარეშე სახელოვნებო ან/და სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებებს, საბავშვო ბაღებს და ბავშვთა სპეციალიზებულ დაწესებულებას ბავშვის დაცვასთან დაკავშირებით გამოცემული ორდერის თაობაზე.

5. თუ ბავშვი განრიდების პროგრამაშია ჩართული ან პრობაციონერია, სააგენტო შეტყობინებას უგზავნის სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და სსიპ დანაშაულის პრევენციის ცენტრს.

6. ბავშვზე განხორციელებული ძალადობის შემთხვევაში, სააგენტოს მიერ ბავშვის განცალკევებასა და მოძალადესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდება სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს.

7. მიუსაფარ ან/და ძალადობის მსხვერპლ ბავშვზე სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო დოკუმენტის გაცემის თაობაზე სააგენტო ახორციელებს პოლიციის ინფორმირებას, მშობლის მიერ ბავშვის სახელმწიფო საზღვარზე არამართლზომიერად გადაყვანის თავიდან აცილების მიზნით.